# აჭარა

გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№15 (24.895) სამშაბათი, 22 - 23 თებერვალი, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, შიდამთიან რაიონებში - 5-10, მაღალ მთაში - 2-7 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 761 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსანიუსი

საქართველოს თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე მუსტაფა შენთოფი ეწვია. „ჩვენთვის დიდი პატივია, რომ საქართველოში ვმასპინძლობთ ოფიციალური ვიზიტით მყოფ ჩვენი ქვეყნის დიდ მეგობარს, თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული მეჯლისის თავმჯდომარეს მუსტაფა შენთოფს“, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის დოკუმენტს.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გამართულ სხდომაზე მთავრობამ მიიღო განკარგულება, რომლის მიხედვით, თბილისსა და ონში, ბინათმესაკუთრეთა 9 ამხანაგობას გადაეცა 53-მდე ფართი. ქონება წარმოადგენს საერთო სარგებლობის არასაცხოვრებელ ფართებს და ისინი ფაქტობრივ მფლობელებს საკუთრების უფლებით დაუკანონდებათ. მთავრობამ ასევე გამოსცა განკარგულებები, რომლებიც საქართველოში მზისა და ჰიდროელექტროსადგურების შექმნას ითვალისწინებს. მზის ელექტროსადგურის მშენებლობა დაგეგმილია შიდა ქართლში, ხოლო ოთხი ჰიდროელექტროსადგურის - ქვემო ქართლის რეგიონში.

* * *

ორბელიანების სასახლეში საინფორმაციო სააგენტოებისა და საინფორმაციო პორტალებისათვის საქართველოს პრეზიდენტის ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზიდენტის ახალი ვებგვერდი ახალ მისამართზე **www.president.ge** -ზე განთავსდა. ინტერნეტმისამართი საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე შეიცვალა. ახალი ვებგვერდი პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაკვეთით 5800 ლარად შპს „პროსერვისმა“ შექმნა და მასვე ევალება ერთწლიანი ტექნიკური მხარდაჭერაც.

* * *

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ნიკა მელიას განცხადებით, საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიერ ხელმეორედ უვადო შიმშილობის დაწყება მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სახიფათოა. მელია იმედოვნებს, რომ მიხეილ სააკაშვილთან ციხეში ექიმს შეუშვებენ. პატიმარი ექსპრეზიდენტი უვადო შიმშილობას იწყებს. როგორც მან 7 ნოემბრის საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესზე განაცხადა, მისი შიმშილობა „იქნება რეაქცია მის მიმართ რეჟიმის მოპყრობაზე“.

# კანონპროექტი მაჭახლის ისტორიული ხეობის ეკოლოგიურ დაცვას, ეკონომიკური და ტურისტული მიმართულებით განვითარებას შეუწყობს ხელს

***აჭარის უმაღლესი საბჭოს მორიგი საკანონმდებლო ინიციატივა განიხილეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში***



საქართველოს კანონპროექტები: „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომიტეტის სხდომაზე აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ წარადგინა.

„მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ კანონის პროექტის მიზანია მაჭახლის ხეობის ბიომრავალფეროვნებით, ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით გამორჩეული ტერიტორიების დაცვა, აღდგენა და გონივრული გამოყენების ხელშეწყობა“, - აღნიშნა დავით გაბაიძემ. მისი განცხადებით, კანონის პროექტი მაჭახლის ისტორიული ხეობის ეკოლოგიურ დაცვასთან ერთად, მისი ეკონომიკური და ტურისტული მიმართულებით განვითარებას შეუწყობს ხელს.

რაც შეეხება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატან ცვლილებებს, კანონპროექტის მიღებით „მაჭახლის დაცული ლანდშაფტის“ მართვის ორგანოს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცემა უფლება, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება (შეადგინონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები) მის მართვას დაქვემდებარებულ დაცულ ტერიტორიაზე ჩადენილ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით.

კანონპროექტების ავტორები არიან: აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს დარგობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები: ვლადიმერ მგალობლიშვილი, ფრიდონ ფუტკარაძე, მარინე გვიანიძე და გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP).

# ბათუმის „დინამომ“ სუპერთასი მეორედ მოიგო

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

***კვირას ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე ეროვნული ლიგის ჩემპიონი ბათუმის „დინამო“ დავით ყიფიანის თასის მფლობელ თბილისის „საბურთალოს“ გუნდს საქართველოს სუპერთასის გათამაშებაში შეხვდა.***



ორი ტაიმის განმავლობაში ვერცერთმა გუნდმა ვერ მოახერხა გოლის გატანა. ძირითადი დრო ანგარიშით - 0:0 დასრულდა. დამატებითი ტაიმები არ ყოფილა. იქვე დაინიშნა პენალტების სერია, რაც ერთი ბურთის სხვაობით, ბათუმის „დინამომ“ მოიგო ანგარიშით - 7:6.

აღსანიშნავია, რომ ბათუმელთა მეკარემ მეტოქის სამი ბურთი მოიგერია. ჩვენი „დინამო“ მეორედ გახდა სლავა მეტრეველის სახელობის სუპერთასის გამარჯვებული.

რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყველა მატჩში, ბათუმელების თამაშს გულშემატკივართა („პირატების“) მრავალრიცხოვანი გუნდი ესწრებოდა, რომელმაც საყვარელ გუნდს ჩვეული შემართებით უქომაგა.

საქართველოს ეროვნული ლიგის თამაშები 25 თებერვალს განახლდება. პირველ ტურში ბათუმელები საკუთარ მოედანზე ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლებენ.


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



# შეხვედრა – რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში რეზვან როტუნდუს უმასპინძლა*

მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და ბათუმსა და კონსტანცას შორის მეგობრობის გაღრმავებაზე ისაუბრეს.

საქართველოსა და რუმინეთს შორის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება. 2020 წელს ქალაქ კონსტანცასა და ბათუმს შორის თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა, რომელიც მიზნად ისახავს მხარეებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობას ვაჭრობის, ტურიზმის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ტრანსპორტის სფეროებში, ასევე, ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის მიმართულებით.



# ტყვიის შესაძლო წყაროების კვლევა – აჭარის მდინარეებში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

*აჭარის მდინარეების აუზებში ტყვიის შესაძლო წყაროების კვლევა მიმდინარეობს. პროექტი საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ისრაელის საელჩოს მხარდაჭერითა და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით ხორციელდება*

პროექტის ფარგლებში, საქართველოში იმყოფება ცნობილი ჰიდროგეოლოგი ისრაელიდან, პროფესორი ეილონ ადარი. ვიზიტის ფარგლებში წყლის სინჯები შემდგომი კვლევისათვის აღებული იქნა მაღალმთიანი აჭარის სხვადასხვა სოფელში.

სამუშაო ჯგუფის წევრებს აჭარის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე მოადგილეებთან ერთად შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს ბავშვებსა და ორსულებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით აქამდე ჩატარებული კვლევები და ისაუბრეს ახალი პროექტის მნიშვნელობაზე.



მიმდინარე წელს აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ორსულ და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებში ტყვიის შემცველობის განსაზღვრას, გაფართოვდა. 2022 წლიდან პროგრამით 8-14 წალმდე მოზარდები ისარგებლებენ.

გასული წლის პროგრამის ღონისძიების ფარგლებში კვლევა ჩაუტარდა 6000 ბენეფიციარს. კვლევის შედეგის მიხედვით განმეორებითი კვლევა ჩაუტარდა 784 ბენეფიციარს, ხოლო მესამე - 116-ს.

# პეკინის ზამთრის ოლიმპიადა დაიხურა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ჩინეთის დედაქალაქში 20 თებერვალს ოფიციალურად დაიხურა ზამთრის ოლიმპიური თამაშები. პეკინი პირველი ქალაქია, რომელმაც არა მარტო ზამთრის, არამედ ზაფხულის ოლიმპიადასაც (2008 წელს) უმასპინძლა.

ეს უკვე რიგით მეორე დახურული ოლიმპიადაა, რომელიც პანდემიის პირობებში ჩატარდა და ისეთი ხალხმრავალი არ იყო, როგორც ადრე ჩატარებული.

დახურვის ცერემონიაც ისეთივე საინტერესო და მრავალფეროვანი გამოდგა, როგორიც გახსნის. პეკინში ჩატარებული ოლიმპიადის ცეცხლი ჩაქრა, დროშა მომდევნო ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყანას, კერძოდ, იტალიის ორ ქალაქს გადაეცა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმა ისევ მიმართა სიტყვით სპორტსმენებს. ყურადღება გაამახვილა თანასწორობაზე და თქვა: „თქვენ მიეცით მსოფლიოს მშვიდობის შანსი“. ულამაზესმა ფოიერვერკმა გადაანათა ოლიმპიური სტადიონი წარწერით - „ერთი სამყარო, ერთი - ოჯახი“.



ამდენი მონაწილე, რამდენიც წელს, ჩვენს ქვეყანას ზამთრის ოლიმპიადაზე არასოდეს ჰყოლია, ყველაზე მეტი ქართველი სპორტსმენი კი ფიგურულ ციგურაობაში ასპარეზობდა. საქართველოს წარმომადგენლების გამოსვლა პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე დააგვირგვინა ფიგურული მოციგურავეების კარინა საფინასა და ლუკა ბერულავას წყვილმა, რომელმაც მეცხრე ადგილი დაიკავა. ეს ქართველთა ნამდვილი წარმატებაა სპორტის ამ სახეობაში - ჩვენი რეკორდი. შესანიშნავად გამოვიდა ასევე, მორის ყვითელაშვილი. მან ინდივიდუალურ პირველობაში ელენე გედევანიშვლის 2006 წელს დაფიქსირებული შედეგი გაიმეორა - ასპარეზობაზე მეათე ადგილი მოიპოვა. იგი ამ ოლიმპიადაზე მართლაც, ძალიან კარგ ფორმაში იყო, თავისი გამოსვლით არაჩვეულებრივ ატმოსფეროს ქმნიდა. თავი კარგად წარადგინა როგორც გუნდურ, ისე ინდივიდუალურ პირველობაზე - ოლიმპიადაში მონაწილე ფიგურულ მოციგურავეთა ათეულში შესვლა არ არის ადვილი. ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ანასტასია გუბანოვამ, ის ქალთა ერთეულებშიც გამოდიოდა და გუნდურ პირველობაშიც. მან ათ მონაწილეს შორის მეოთხე ადგილი დაიკავა, რითაც საქართველოს შვიდი ქულა მოუტანა, ინდივიდუალურში კი მე-11 ადგილზე გავიდა. საუკეთესოთა ათეულში შესვლას სულ მცირე დააკლდა. მარია კაზაკოვამ და გიორგი რევიამ სპორტული ცეკვების თავისუფალ პროგრამაში მე-19 ადგილი დაიკავეს, თუმცა აქ მთავარი ის იყო, რომ მოკლე პროგრამის შემდეგ მათ საუკეთესო ოცეულში შესვლა მოახერხეს, რამაც შესაძლებლობა მისცათ, ოლიმპიადაზე თავისუფალი პროგრამითაც წარმდგარიყვნენ.

სამთო მოთხილამურე სოსო ჯაფარიძემ 31-ე ადგილი დაისაკუთრა, ნინო წიკლაურმა კი, რომლისთვისაც ეს რიგით მეოთხე ოლიმპიადა იყო - 42-ე.

კიდევ ერთმა სპორტსმენმა, საბა ქუმარიტაშვილმა იასპარეზა ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით. ის ტრაგიკულად დაღუპული ოლიმპიელის - ნოდარ ქუმარიტაშვილის ბიძაშვილი გახლავთ და მისი სახით კიდევ ერთხელ გაიჟღერა ტრაგიკულად დაღუპული ქართველი ოლიმპიელის სახელმა.

ეს ოლიმპიადაც ისტორიის კუთვნილება გახდა. ახლა ყველას ყურადღება მიმართულია ზაფხულის ოლიმპიადისკენ, რომელსაც საფრანგეთის დედაქალაქი 2024 წელს უმასპინძლებს და იმედი ვიქონიოთ, რომ არა - პანდემიის პირობებში.

# სოფლის განვითარების საბჭოს სხდომა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების საბჭოს 2022 წლის პირველი სხდომა გაიმართა, სადაც საბჭოს წევრებმა და სხდომაზე მოწვეულმა სტუმრებმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების პროგრამის მონაცემთა მართვის გეოინფორმაციული სისტემისა და GIS პორტალის შექმნის კონცეფციას გაეცნენ.

პროექტის მიზანია, რეგიონში დაინერგოს ინოვაციური ტექნოლოგიები, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. კერძოდ, ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნას და ანალიზზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღებას.

საბჭოს სხდომას მინისტრთა კაბინეტის წევრები, აჭარის მუნიციპალიტეტების მერები და აჭარის მთავრობის სხვა წევრები ესწრებოდნენ.



## ამბები

### შაბათ-კვირის ქრონიკა

სასტუმროში „ჰილტონში“, „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის დაფუძნებასთან დაკავშირებით, შეხვედრა გაიმართა. ორგანიზაცია დაფუძნდება აჭარაშიც, თუმცა როდის - ჯერ უცნობია. პარტის ლიდერების განცხადებით, დაახლოებით ერთ თვეში ეროვნული კონფერენცია გაიმართება, აირჩევენ ცენტრალური ორგანიზაციის თავმჯდომარეს, გამგეობის წევრებსა და შემდეგ უკვე რეგიონებში გადაინაცვლებენ. ქალთა ორგანიზაციის შექმნის მიზანსა და გეგმებზე აჭარაში მმართველი პარტიის წევრ და აქტივისტ ქალებს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და საქართველოს პარლამენტის წევრი ნინო წილოსანი ესაუბრნენ. ინფორმაციული ხასიათის შეხვედრა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. შეხვედრას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

* * *

ბათუმში „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის დაფუძნების შეხვედრის პარალელურად დაძაბულობა იყო მიმდებარე ტერიტორიაზე. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები პარტიის თავმჯდომარესთან, ირაკლი კობახიძესთან შეხვედრას ითხოვდნენ, რასაც მოჰყვა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება. ოპოზიციის წევრები სასტუმროს შენობაში, დაცვის თანამშრომლების წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შევიდნენ. როგორც ენმ-ის წევრები ამბობენ, მათ ირაკლი კობახიძესთან ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალების საქმეზე კონკრეტული კითხვები ჰქონდათ. ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ პროტესტის გამოხატვა ყველას შეუძლია, თუმცა ოპოზიცია თემით სპეკულირებს. აქციას დაკავებებიც მოჰყვა. „ნაციონალური მოძრაობის“ 6 დაკავებული წევრი სასამართლო პროცესამდე გაათავისუფლეს. ისინი აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს. დაკავებულ ელგუჯა ბაგრატიონს სამედიცინო დაწესებულებაში კვლევები ჩაუტარდა. დეპუტატის მდგომარეობა სტაბილურია.

* * *

ორთვიანი ზამთრის შესვენების შემდეგ, რომელიც კოვიდპანდემიის გამო გაიწელა, „დიდი 10“ მე-11 ტურის თამაშებით განახლდა. შეხვედრა მოიგო ბათუმის სარაგბო კლუბმა, რომელიც გასვლაზე „ლელო სარასენს“ ესტუმრა და 22-31-ით დაამარცხა. ბათუმელთაგან ლელოები ქოიავამ, მამრიკიშვილმა, მენაბდემ და წიკლაურმა დადეს. ზუსტად შესრულებული 3 ჯარიმა და ერთი გარდასახვა ნინიძის ანგარიშზეა. 11 თამაშის შემდეგ „ბათუმი“ 48 ქულით გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს. მომდევნო მატჩს ბათუმელები 4 მარტს საკუთარ მოედანზე „ხარების“ წინააღმდეგ გამართავენ.

* * *

ქედის მერიამ 100 ათასი ლარის ღირებულების თუნუქის ფურცლები შეიძინა, რომელსაც ქედაში მცხოვრებ ოჯახებს გადასცემს - 70-დან 100-მდე ოჯახს, რომელთა სახურავებიც დაზიანებულია და გაწვიმებისას წყალი ჩადის. მერიაში სახურავების შეცვლის მოთხოვნით 100-მდე განცხადებაა შესული. „სახურავებით დახმარების“ პროგრამას მერია ყოველწლიურად ახორციელებს.

# სოსო მანჯავიძე: თუ პროვოკაციებს არ მოვაწყობთ, რუსეთი თავს არ აიტკივებს საქართველოს ოკუპაციით

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93



*უკრაინა-რუსეთის კონფლიქტმა პიკს მიაღწია, პოლიტოლოგ* ***სოსო მანჯავიძის*** *თქმით, კონფლიქტი ან უკრაინის მთავრობის დათმობაზე წასვლით გადაწყდება, ან ომი დაიწყება და სულ სხვა რეალობაში გავიღვიძებთ. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.*

**- ბატონო სოსო, რა ეტაპზეა ამჟამად რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი?**

- ამ ეტაპზე მიმდინარეობს „დაზვერვის თამაშები“, რომ მოიპოვონ კაზუს ბელი, ანუ ომის საბაბი, მისი გამართლება - ვის დაერქმევა ომის დამწყები, ვინ იქნება დამნაშავე. დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, როგორიც შეიქმნა საქართველო-რუსეთის ომის წინ, როდესაც მიმდინარეობდა იგივე თამაშები და დავმარცხდით, თან მივიღეთ საშინელი შედეგები. კერძოდ, სამხრეთ კავკასიიდან გასული რუსეთის სამხედრო ბაზები დაგვიბრუნდა უკან, განადგურდა ჩვენი სოფლები, წაიღეს ჩვენი ტერიტორიები და საქართველომ განიცადა გეოპოლიტიკური დევალვაცია. იმთავითვე ცხადი იყო, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში ფეხის ამოკვეთას არ შეეგუებოდა. ჩვენი მხრიდან მიმდინარეობდა ბრძოლა, რომ რუსეთი საბოლოოდ გაძევებულიყო სამხრეთ კავკასიიდან. სწორედ ასე აღიქვეს რუსეთში „ვარდების რევოლუცია“ და ის მოქმედებები, რაც იმ პერიოდში განხორციელდა. გეოპოლიტიკური ამოცანები უნდა განვიხილოთ სამართლებრივ, ძალოვან და უამრავ სხვა ასპექტთან ერთად. სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტას ცდილობდნენ მაშინ რუსები და, სამწუხაროდ, ჩვენმა მაშინდელმა იდიოტურმა პოლიტიკამ, არაკომპეტენტურობამ, ღალატმა ის შედეგი გამოიღო, რაც გვაქვს. აი, დაახლოებით იგივე სიტუაციაა უკრაინაშიც. ისტორიულად იდენტური სიტუაციები არ არსებობს, მაგრამ სქემა ანალოგიურია. მიმდინარეობს ინფორმაციული ბრძოლა, ჰიბრიდული ომი როგორც საერთაშორისო საზოგადოების, ასევე ქვეყნის შიდა სამობილიზაციო საკითხების მოსაგებად, რათა დაპირისპირებული მხარეებიდან ერთ-ერთმა მოიპოვოს უპირატესობა. ეს ჩანს ორივე მხრიდან მარშირებული საინფორმაციო კამპანიებიდანაც.

**- ეუთოს მისიის მუშაობის ყოველდღიურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ დონეცკის რეგიონში დღის განმავლობაში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის 200-ზე მეტი დარღვევა დაფიქსირდა, ხოლო ლუგანსკის ოლქში - თითქმის 700, რაშიც სეპარატისტები და უკრაინის არმია ერთმანეთს ადანაშაულებენ.**

- თვითონ ეუთოც საინტერესოდ იქცევა: ფაქტობრივად, უარი თქვა მინსკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტების მონიტორინგზე, იქიდან გამოიყვანა დამკვირვებლები, რაც მტყუან-მართლის გარჩევას შეუძლებელს ხდის. კიდევ ერთხელ დავუბრუნდები 2008 წელს - მიუნჰენში პუტინის სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, რუსეთისთვის პირველი იყო მსგავსი გეოპოლიტიკური ნაბიჯი. მაშინ პირველად გამოაჩინა ძველი ზნე და კლანჭები, თუმცა გაცილებით მეტ ანგარიშს უწევდა დასავლეთს, ვიდრე ახლა. აქედან გამომდინარე, რუსეთისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო სამართლებრივი საკითხები, ანუ ვინ წამოიწყო ომი. თუ გახსოვთ სარკოზის ვიზიტი თბილისსა და მოსკოვში? მას წარუდგინეს ომზე დაკვირვების ობიექტური მასალები, რომლებიც ზუსტად აღრიცხავდა კონფლიქტის მიმდინარეობას. ნათელი გახდა, რომ რუსეთმა ამ სადაზვერვო ბრძოლებში - საინფორმაციო ომში გაიმარჯვა. ტალიავინის დასკვნამაც ეს დაადასტურა.

**- უკრაინის მიმართ რუსეთი უფრო თავდაჯერებულად იქცევა.**

- დიახ, რუსეთი იმდენად მოძლიერდა, აღარ უწევს ანგარიშს დასავლეთს, ახლა ნაკლებად არის მასზე დამოკიდებული. 2014 წლის შემდეგ მისი ეკონომიკა ამოიქაჩა. ამ მხრივ საკმარისია ითქვას, რომ საერთაშორისო ვალუტაზე - დოლარზე დამოკიდებულებისგან თავისუფლდება, ასევე დიდწილად გათავისუფლდა აშშ-ის სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებისგან. მისი საერთაშორისო რეზერვები დღეისათვის 623 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, რაც მისი ისტორიული მაქსიმუმია. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ რეზერვის მნიშვნელოვანი წილი ოქროს ზოდებია. ოფიციალური მონაცემებით, რუსეთს დაახლოებით 3 ათას ტონამდე ოქროს რეზერვი აქვს.

**- თუ შეიძლება, განმარტეთ საერთაშორისო რეზერვების დანიშნულება.**

- ეს არის რუსეთის ბანკის განკარგულებაში არსებული მაღალლიკვიდური საერთაშორისო აქტივები, რაც, მაგალითად, საშუალებას აძლევს, დააფინანსოს საგადასახადო ბალანსის დეფიციტი ინტერვენციების მეშვეობით, ზემოქმედება მოახდინოს ვალუტის კურსზე, მხარი დაუჭირონ ნდობას რუბლის მიმართ... ბუნებრივია, როდესაც ასეთი უზარმაზარი სავალუტო რეზერვები გაქვს, უფრო მყარ პოზიციას ინარჩუნებ ნებისმიერი კონფლიქტის დროს.

**- რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთში გაიმართება ბირთვული წვრთნები, რა დროსაც გაუშვებენ ბალისტიკურ და ფრთოსან რაკეტებს.**

- სხვათა შორის, ეს უპრეცედენტო წვრთნებია, დაიწყება ტრიადის - საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ძალების ატომური შეიარაღების დემონსტრაცია. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ჩინეთმა ყველა ხიდი დაწვა და ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი რუსეთს. განაცხადა, რომ უკრაინის საკითხი იმ შემთხვევაში გადაწყდება, თუ დასავლეთი გაითვალისწინებს და დააკმაყოფილებს რუსეთის შეშფოთების მიზეზებს. თუ რაზე შეშფოთდა რუსეთი, ეს პუტინის ნათქვამიდან ჩანს. კერძოდ, ნატო უნდა დაბრუნდეს გაფართოებამდე არსებულ, ანუ 1997 წლის საზღვრებში. სი ძინპინის და პუტინის შეხვედრების შემდეგ გასაგები იყო, რომ ჩინეთი ასეთ პოზიციას დაიჭერდა. 20 თებერვალს დაიხურა ოლიმპიური თამაშები ჩინეთში და უკვე სი ძინპინი გამოვა ისეთივე ულტიმატუმით დასავლეთის, კონკრეტულად კი აშშ-ს მიმართ, როგორითაც გამოვიდა პუტინი.

**- მაინც რა არგუმენტაცია აქვს კოლექტიური დასავლეთის მიმართ?**

- რუსეთი, ჩინეთი, ირანი და სხვა სახელმწიფოები ემუქრებიან აშშ-ს ალტერნატიული საერთაშორისო სავალუტო სისტემის შექმნით. გარდა ამისა, რუსეთისა და ჩინეთის ალიანსი და ატომური ტრიადის არსებობა შეუძლებელს ხდის მათზე ზემოქმედებას, ყოველ შემთხვევაში იმ ბერკეტების გამოყენებას, რასაც შეჩვეულია ჰეგემონი სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები. რუსეთის რეზერვები უკვე ვახსენეთ, აქვე აღვნიშნავ მაღალ ფასებს გაზსა და ნავთობზე, საიდანაც დამატებით მიედინება დიდი შემოსავლები რუსეთში. ასევე, იარაღით ვაჭრობაც კარგადააწყო, მარცვლეულის იმპორტიორიდან გადაიქცა უმსხვილეს ექსპორტიორად... ეს ყველაფერი იმიტომ ჩამოვთვალე, რომ გულუბრყვილობაა იფიქრო, თითქოს რუსეთზე გაჭრის სანქციები, რომელსაც დასავლეთი იყენებს ურჩი სახელმწიფოების მიმართ. ის მუქარა, რომ SWIF-იდან (საერთაშორისო ბანკთაშორისი სისტემა) ამორიცხავდნენ რუსეთს, უარყოფილია თვითონ ევროპაში.

**- გერმანიის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ ნატოში, სწრაფი რეაგირების დანაყოფში თავის ძალებს სრულ მობილიზაციაში მოიყვანს. თუკი დაიწყება, აპირებენ ჩაერთონ ომში?**

- არა, ამ ეტაპზე დასავლეთის და რუსეთის შეიარაღებული დაპირისპირება წარმოუდგენელია. კიდევ ვამბობ, რუსეთი მარტო არ არის. მათი დაჯახება სრული სიგიჟე იქნება, რადგან მხარეებს შეუძლიათ გაანადგურონ ერთმანეთი, ატომური ომის შემთხვევაში კი განსაკუთრებით დიდი საფრთხის ქვეშ ექცევა ევროპა და აშშ. რუსეთი უზარმაზარი სახმელეთო იმპერიაა, 17 075 400 $კმ^2$ ტერიტორიით. კი, მიიღებს დიდ ზარალს, მაგრამ შესაძლოა, არ განადგურდეს ევროპისა და აშშ-სგან განსხვავებით, მით უმეტეს, რომ ახლა შექმნილია თერმობირთვული დამანგრეველი ძალის იარაღი, რომელსაც ძალუძს პლანეტის მოსპობა. ღმერთმა დაგვიფაროს, ამ ტიპის თვითმკვლელობამდე მივიდეს კაცობრიობა. პრინციპში, ურთიერთგანადგურების აშკარა საფრთხის მიუხედავად, რუსეთ-დასავლეთს შორის ყოველდღიური ესკალაცია არ ჩერდება. თუ გავითვალისწინებთ ამ ბოლოს გლობალურ პოლიტიკაში გამოვლენილ სიგიჟეს და შიზოფრენიას, არსებული ვითარება არ გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს.

**- აშშ-მა დაძაბა ვითარება, გაიყვანა უკრაინიდან საკუთარი მოქალაქეები, ელჩები და ისევ აღვივებს კონფლიქტს. რა უნდა ქნას ამ სიტუაციაში რუსეთის პირისპირ დარჩენილმა უკრაინამ?**

- სამწუხაროდ, უკრაინა არ არის სუბიექტი. მისი პოლიტიკური კლასი მთლიანადაა დამოკიდებული დასავლეთზე. ამ კონკრეტულ ვითარებაში უკრაინის მთავრობა იქცა მარიონეტად. თუ ომი დაიწყო, ქვეყნის პოლიტიკური ელიტა შეასრულებს დავალებას და გაიქცევა, ხალხია ცოდო.

**- უკრაინის მიმართ საქართველოს მხარდაჭერაზე გული სტკივა ოპოზიციას, მიტინგებსაც აწყობს...**

- და რა უნდა ქნას საქართველომ?! მიტინგების მოწყობის ნაცვლად, ცოტა ტვინი დაატანონ მიმდინარე მოვლენებს. ამერიკა და ევროპა, უკრაინის მეზობლებიც კი, ვერ ეხმარებიან სამხედრო ძალებით. როგორ წარმოუდგენიათ ოპოზიციის ლიდერებს ჩვენი მთავრობის მოქმედება, რითი დავეხმაროთ?! ეს ადამიანები სააკაშვილს წარმოადგენენ. სწორედ მათი გაუწონასწორებელი, მოღალატეობრივი, აფექტური, უტვინო მოქმედებების შედეგად მივიღეთ ის, რომ აგერ 30 კილომეტრში არიან რუსი სამხედროები დაბანაკებული.

**- თუკი უკრაინას დაარტყა, საქართველოშიც შემოირბენენ რუსებიო. წინააღმდეგობის გაწევას შევძლებთ?**

- საქართველო ისეთ დღეშია, რუსეთის კონვენციური ძალების შემოჭრის შემთხვევაში, ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევის არანაირი შანსი არ გვექნება. ამას აზრიც არ აქვს. პირადად მე, ვერ წარმომიდგენია, როგორ შევებრძოლებით რუსეთის არმიას. შესაძლოა, ცალკეული დაჯგუფებებით შევებრძოლოთ, მაგრამ შედეგი მაინც არ გვექნება.

**- ამის პარალელურად, თურქეთი აჭარას დაიკავებსო, ისიც ითქვა...**

იხ. მე-7 გვ.

> *„ ეს უპრეცედენტო წვრთნებია, დაიწყება ტრიადის - საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო ძალების ატომური შეიარაღების დემონსტრაცია. აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ჩინეთმა ყველა ხიდი დაწვა და ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი რუსეთს. განაცხადა, რომ უკრაინის საკითხი იმ შემთხვევაში გადაწყდება, თუ დასავლეთი გაითვალისწინებს და დააკმაყოფილებს რუსეთის შეშფოთების მიზეზებს*

## უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ფრანგ კოლეგა ემანუელ მაკრონს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის ორგანიზება სთხოვა, - იუწყება უცხოერი მედია. სამიტის თემა ევროპის სტრატეგიული სტაბილურობა და უსაფრთხოება იქნება. შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა განაცხადა, რომ ქვეყანა კვლავაც მზადაა, უმასპინძლოს რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების შეხვედრას, თუ ამის საჭიროება იქნება“, - იუწყება რუსული სააგენტო „როიტერი“. სამიტამდე, 24 თებერვალს, ერთმანეთს რუსეთისა და აშშ-ის საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდებიან, სადაც მომზადდება უმაღლესი დონის სამიტზე განსახილველი საკითხები.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკრაინაში მყოფ თავის მოქალაქეებს მოუწოდა, რუსეთის მხრიდან სამხედრო კონფლიქტის შესაძლო ესკალაციის გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ დატოვონ ქვეყნის ტერიტორია. კიევში შეერთებული შტატების საელჩოს საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, არსებობს ქვეყნიდან კომერციული რეისების შეზღუდვის სერიოზული რისკი. „სახელმწიფო დეპარტამენტი მოუწოდებს აშშ-ის მოქალაქეებს, დატოვონ უკრაინის ტერიტორია კერძო თუ კომერციული რეისებით, ქვეყანაში შექმნილი არაპროგნოზირებადი სიტუაციის გამო, რომელიც შესაძლოა, ნებისმიერ დროს გართულდეს“, - ნათქვამია საელჩოს განცხადებაში. ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის საელჩო კიევიდან დროებით ქალაქ ლვოვში გადადის.

* * *

ჩინეთის ხელისუფლებამ ამერიკული კომპანიების **Raytheon Technologies**-ის და **Lockheed Martin**-ის წინააღმდეგ ტაივანისთვის შეიარაღების მიწოდების გამო სანქციები დააწესა. ამის შესახებ ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვან ვენბინმა განაცხადა. მისი თქმით, აღნიშნული კომპანიები წლების განმავლობაში მონაწილეობდნენ აშშ-ის მიერ ტაივანის შეიარაღებაში. ვენბინმა მოუწოდა შტატებს, შეწყვიტოს ამ ქვეყნის შეიარაღება და ყოველგვარი სამხედრო კავშირი გაწყვიტოს მასთან. *ცნობისათვის: ოფიციალური პეკინი ტაივანს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროვინციად მიიჩნევს.*

* * *

უკრაინას შეუძლია, შექმნას ბირთვული იარაღი, რომელიც იქნება საკმაოდ პრიმიტიული, თუმცა შეძლებს გაარღვიოს რუსეთის რაკეტსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, - ამის შესახებ სამხედრო ისტორიის სპეციალისტმა ბორის იულინმა განაცხადა. მისი თქმით, გასათვალისწინებელია, რომ სამამულო წარმოების საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები ამ ქვეყნის ტერიტორიაზეა დამზადებული. „ამჟამად საეჭვოა, უკრაინამ შექმნას ხარისხიანი იარაღი, თუმცა სავსებით შესაძლებელია, დაამზადოს იგი პაკისტანის დონეზე“, - დასძინა მან.

# გიორგი კირთაძე: ბათუმში გარეგანათება გამორთულია და ქალაქის გზები ნაომარს ჰგავს

ხატია იაშვილი 27 48 93

*ბათუმის საკრებულოს შუალედურ არჩევნებში, რომელიც 2 აპრილსაა დანიშნული, ოპოზიციამ საკუთარი კანდიდატი დაასახელა - გარდაცვლილი მაჟორიტარი დეპუტატის შვილი მათე ფუტკარაძე იმ ოლქში იყრის კენჭს, სადაც ნუგზარ ფუტკარაძემ გაიმარჯვა. მათე ფუტკარაძის თქმით, მისი მიზანი პოლიტიკაში ჩართვა არ ყოფილა, თუმცა არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა, რადგან თვლის, რომ „ეს ღირსების არჩევნებია არა მხოლოდ მისი ოჯახისათვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის". ოპოზიციის სხვა პარტიებს არ დაუსახელებიათ საკუთარი კანდიდატი ამ ბრძოლაში და ერთხმად განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერდნენ ენმ-ის მიერ წარმოდგენილ პიროვნებას, რადგან მიაჩნიათ, რომ უკვე გამარჯვებულმა პარტიამ უნდა დაიტოვოს ამ ოლქში კენჭისყრის უფლება.*

*თავის მხრივ, „ქართული ოცნება" მთელი ძალისხმევით ცდილობს დამატებითი ხმის მოპოვებას, რისთვისაც ამ ბრძოლაში ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე რამაზ ჯინჭარაძე ჩააბა. მას სოციალური პროგრამების განხორციელებით, მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა გააჩნია. 2 აპრილის არჩევნები გადაწყვეტს, ვის ექნება უმრავლესობა წარმომადგენლობით ორგანოში.*

*თუ რას აპირებენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები, რა პოზიციაზე დგანან და საერთოდ, როგორ აფასებენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, ამაზე საუბრობს „აჭარასთან" უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ენმ-ის ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი* ***გიორგი კირთაძე.***

**- ბოლო პერიოდში „ქართულმა ოცნებამ" გაამკაცრა ოპოზიციის მიმართ მიდგომა და თუ ადრე ეხვეწებოდა პარლამენტში შესვლას, ახლა ჩამოართვა მანდატები „ლელოს" წევრს და „ლეიბორისტების" ლიდერს.**

- „ქართულმა ოცნებამ" უკვე გამოაცხადა, რომ განსაკუთრებულ რეჟიმს შემოიღებს ოპოზიციისთვის. ასე რომ, ჩვენთვის ეს ქმედებები არ არის მოულოდნელი, მაგრამ უცხოელი პარტნიორებისაც რომ არ ერიდება და პუტინის მსგავსად „სუვერენულ დემოკრატიას" გაიძახის, ეს უკვე კარგი აღარ არის ქვეყნისთვის. სწორედ ყველაფერ ამის შემადგენელ ნაწილად განვიხილავთ იმ პოლიტიკურ ორომტრიალს, რომელსაც მმართველი გუნდის პოლიტიკური ლიდერები აწარმოებენ მთელი ქვეყნის მასშტაბით და მათ შორის - პარლამენტშიც. პოლიტიკური დევნა და ზეწოლა, „ქართული ოცნების" ძირითად იარაღად იქცა საკანონმდებლო ორგანოებშიც და ქალაქების თვითმმართველობებშიც. მიზანი ერთადერთი აქვთ - როგორმე შეინარჩუნონ ხელისუფლება. ამის გამო, ისინი ყველაფერზე მიდიან.

**- ცოტა უცნაურად ხომ არ გეჩვენებათ ის ფაქტი, რომ ბადრი ჯაფარიძე შუალედურ არჩევნებში მონაწილეობს პარლამენტში დასაბრუნებლად?**

- ამ ნაბიჯს ბრძოლის შემადგენელ ნაწილად განვიხილავ და მივესალმები, ისევე, როგორც ბათუმის საკრებულოს შუალედურ არჩევნებში ნუგზარ ფუტკარაძის შვილის, მათეს მონაწილეობას, რომელიც მამის ადგილს დაიჭერს ქალაქის საკრებულოში. ამ ეტაპზე ოპოზიციის ერთობა მოგვცემს შანსს, დავამარცხოთ ივანიშვილის რეჟიმი, ძალაუფლება ხელიდან გამოვტაცოთ და საფუძველი დავუდოთ სრულიად ახალი სახელმწიფო მართვის ორგანოების ჩამოყალიბებას. ცხადია, ვგულისხმობ კოალიციური მთავრობის შექმნას და ქვეყნის გაძლიერებას.



**- როგორ დაახასიათებთ მათე ფუტკარაძეს, ექნება თუ არა ხალხის მხარდაჭერა იმ ოლქში, სადაც იყრის კენჭს?**

- მათე ფუტკარაძე ძალიან კარგი ადამიანი, ღირსეული პიროვნებაა. მართალია, პოლიტიკაში გამოუცდელია, პარტიული ინტერესებით არ უცხოვრია, საკუთარი პატარა ბიზნესი ჰქონდა, თუმცა ესეც უპირატესობად მიმაჩნია, რადგან არ ყოფილა გახვეული პოლიტიკურ ინტრიგებში. მას აქვს ის თვისებები, რომელიც სჭირდება საკრებულოს წევრს - იცის რა არის აუცილებელი ქალაქისთვის და ქალაქელებისთვის. საკმაოდ დიდი სამეგობრო წრე ჰყავს, ბევრი იცნობს და პატივს სცემს როგორც ბათუმელს, ადამიანს, ვისაც უყვარს თავისი ქალაქი და ბოლომდე დაიხარჯება ბათუმელთა საკეთილდღეოდ. სხვათა შორის, ამ არჩევნებზე ახალი სახეები შემოვიყვანეთ ოპოზიციაში, რომლებმაც გაამართლა და ქალაქის ნდობა დაიმსახურა. დარწმუნებული ვარ, ახლაც იგივე განმეორდება და ჩვენი თანადგომით, სწორედ მათე ფუტკარაძეს დაუჭერს მხარს ამ კონკრეტული საარჩევნო ოლქის მოსახლეობა.

**- საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს?**

- კი, უკვე დავიწყეთ. მათე ატარებს კარდაკარ შეხვედრებს, ესაუბრება ხალხს, ეცნობა მათ პრობლემებს, ყურადღებით უსმენს ყველას და ცდილობს ისეთივე ურთიერთობები ჰქონდეს მათთან, როგორც მის მამას მსგავს ვითარებაში. კამპანიაში აქტიურად არიან ჩართული მათეს მამის მეგობრებიც, ოპოზიციის პარტიების წარმომადგენლები, ყველა ცდილობს მაქსიმალურის გაკეთებას, რათა არ წავაგოთ ოლქი, რომელიც თავის დროზე მოვიგეთ. მოკლედ რომ ვთქვათ, დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა სახის აქტივობა, რაც თავისთავად მოსდევს ანალოგიურ პროცესს და ამ ეტაპზე ყველაფერი წარმატებით ხორციელდება. აქვე დავამატებ იმასაც, რომ ეს შუალედური არჩევნები უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის, რადგან ბათუმის საკრებულოს ბედი წყდება. იცით, იქ რა სიტუაციაა - 17/17-ზე. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ამ საკითხს უფრო ფართოდ უნდა შევხედოთ, რადგან უკვე ღირსების არჩევნებად იქცა. ნუგზარ ფუტკარაძემ პირველივე ტურში დაამარცხა „ქართული ოცნება". იცით ისიც, შემდეგ რა მოვლენები განვითარდა ჩვენი გარდაცვლილი მეგობრის ირგვლივ, შესთავაზეს ფულიც, თანამდებობაც, მაგრამ არაფერს დათანხმდა, განუცხადა, არ გავიყიდები, იმ ასი ათასს რამდენი ნულიც უნდა დაუმატოთო. მასზე ზეწოლა განხორციელდა და... გულმა ვეღარ გაუძლო, გარდაიცვალა. სწორედ ამიტომ თვლის საქართველოს მთელი ოპოზიციური სპექტრი ამ პროცესებს ღირსების საქმედ. ყველა ღონეს ვიხმართ, რათა მისმა შვილმა პირველივე ტურში, დამაჯერებლად გაიმარჯვოს. მას ამისთვის ყველა პირობა გააჩნია, ანუ ჩვენი და ხალხის მხარდაჭერა. ბატონი ნუგზარი არ გაიყიდა, ერთგულება, სინდისი აირჩია და მჯერა, მისი ამომრჩევლებიც არ გაიყიდებიან, ისევ ოპოზიციის კანდიდატს დაუჭერენ მხარს საკრებულოს წევრად.

> ***„არც გვიფიქრია, რომ საბოლოო მიზანს მხოლოდ შიმშილობით მივუახლოვდებოდით, ეს პროტესტის მხოლოდ ცალკეული ფორმაა. ამიტომ ვაპირებთ ბევრ სხვა ხერხს მივმართოთ, გამოვიყენოთ როგორც საკანონმდებლო ტრიბუნა, ისე ქუჩის მიტინგები, რათა ერთხელ და სამუდამოდ შევაჩეროთ მმართველი გუნდის განუკითხაობა***

**- ახლახან რატომ დააკავეს ოპოზიციის 6 წარმომადგენლი?**

- ნუგზარ ფუტკარაძის და ნაზი ფუტკარაძე და სხვა ქალბატონები, მისული იყვნენ ირაკლი კობახიძესთან, რომელიც ბათუმში ატარებდა შეხვედრებს და პასუხი მოსთხოვეს ნუგზარის გარდაცვალების გამო.

**- მაინცდამაინც ირაკლი კობახიძეს რატომ?**

- ირაკლი კობახიძე ის ადამანია, რომელმაც 19 ოქტომბერს, არჩევნების დასრულების შემდეგ გამოგვიცხადა, მერე რა, რომ მოსახლეობის 60%-მა უარი გვითხრა, მაინც გვექნება ბათუმის საკრებულოში უმრავლესობაო. ანუ მან პირდაპირ განაცხადა, რომ იწყებოდა ზეწოლა საკრებულოს წევრებზე, რაც განხორციელდა კიდეც. იცით, რომ გადავიდა მათ მხარეს გახარიას გუნდის წევრი, ხოლო ნუგზარ ფუტკარაძე ამას ემსხვერპლა. ამიტომ, კობახიძემაც და ყველამ უნდა იცოდეს, ამ საქმეს აუცილებლად გამოვიძიებთ, დამნაშავეები დაისჯებიან და კობახიძეც აგებს პასუხს, როგორც ადამიანი, რომლის ინიციატივითაც მოეწყო ეს ყველაფერი „საკრებულოში უმრავლესობის მისაღწევად ნებისმიერი ფორმით". დღევანდელი მოცემულობით, ბათუმის საკრებულოში 34 წევრია და მათგან 17 ოპოზიციური პარტიებიდან. ახალი მოწვევის საკრებულო 3 დეკემბერს, საკუთარი უფლებამოსილების ცნობის მიზნით ჩატარებული პირველი სხდომის შემდეგ, ვეღარ ახერხებს შეკრებას და თავმჯდომარის არჩევას, რადგან გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო, სულ მცირე, 18 ხმა, არცერთ მხარეს არ აქვს. ამიტომ „იღვწიან" „ქართული ოცნების" ლიდერები, სხვა არაფრისთვის.

**- ცხადია, რომ კობახიძე თქვენი აქციებით არ შეშინებულა, რადგან ამ ჩამოსვლაზეც განაცხადა: „ჩვენი პოლიტიკური ამოცანაა, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ უმრავლესობა უზრუნველვყოთ იმ საკრებულოებში, სადაც ამ ეტაპზე არ გვაქვს უმრავლესობა"...**

- არა უშავს, ბათუმში ყველა ჩამოსვლაზე შევახსენებთ, რაც დააშავა. ან ახლა რა პირით აცხადებს იგივეს? თავის დროზე ენმ-მ გაიმარჯვა ამ ოლქში და სინდისის, ზნეობის და მორალის ამბავია, რომ გარდაცვლილი ადამიანის ადგილზე სხვა პარტიის წარმომადგენლის გასვლა არ დაუშვან. ყველაფერს ხომ აქვს თავისი ზღვარი... ეს ყველაფერი უნდა იცოდეს რამაზ ჯინჭარაძემაც, ახლა კენჭს რომ იყრის მმართველი გუნდის ბრძანებით. ამ საქმეზე აუცილებლად დადგება კონკრეტული პირების სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას რამაზ ჯინჭარაძეც ვერ გაექცევა. უნდა იცოდეს, რომ სისხლის ფასად მოხდა ამ მანდატის გამოთავისუფლება და მისთვის ბრძოლა, ჯინჭარაძის მხრიდან, არ არის სწორი.

**- გიორგი, თუ შეიძლება ახლო წარსულს გადავწვდეთ, რატომ დაიწყეთ და რატომ შეწყვიტეთ შიმშილობის აქცია?**

- დავიწყეთ მიხეილ სააკაშვილისთვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად და მისი გათავისუფლების მოთხოვნით. პროტესტის ეს ფორმა რადიკალურია და უდიდეს ფიზიკურ და მორალურ ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ ჩვენ გვიღირდა ამაზე წასვლა, თუკი ცოტათი მაინც მივუახლოვდებოდით დასახულ მიზანს. შემდეგ, საქართველოს მესამე პრეზიდენტის წერილი გამოქვეყნდა, სადაც მოგვიწოდა შიმშილობის შეწყვეტისკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად აპირებდა შიმშილობის კვლავ დაწყებას. მან გაიგო, რომ ჩვენი ბევრი მეგობარი გახდა შეუძლოდ და ამიტომ გამოგვიცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში აღარ გაგვეგრძელებინა. რა უნდა გვექნა, ჩვენც შევწყვიტეთ შიმშილობა და გადავერთეთ სხვა საპროტესტო აქტივობებში.

**- გამოდის, შიმშილობით მიზანს ვერ მიაღწიეთ...**

- არც გვიფიქრია, რომ საბოლოო მიზანს მხოლოდ შიმშილობით მივუახლოვდებოდით, ეს პროტესტის მხოლოდ ცალკეული ფორმაა. ამიტომ ვაპირებთ ბევრ სხვა ხერხს მივმართოთ, გამოვიყენოთ როგორც საკანონმდებლო ტრიბუნა, ისე ქუჩის მიტინგები, რათა ერთხელ და სამუდამოდ შევაჩეროთ მმართველი გუნდის განუკითხაობა. თუ გაინტერესებთ, რა ვიგრძენი შიმშილობის აქციის დროს, გეტყვით: საშინელება იყო, შედეგებს ახლაც ვიმკით და მოვუწოდებ ყველას, არასოდეს იშიმშილოს.

**- რას გვეტყვით აჭარის უმაღლეს საბჭოში თქვენი მუშაობის შესახებ?**

- აჭარის უმაღლესი საბჭო ამ ეტაპზე უფუნქციოდაა დარჩენილი, მას უკვე აღარანაირი დატვირთვა არ გააჩნია. ინსტიტუციას, რომელიც თავის უფლებამოსილებას ვერ ახორციელებს, როგორ უნდა მოსთხოვო რამეზე პასუხი? ერთადერთი, რაც უმაღლეს საბჭოს ევალება, ეს არის აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი, მაგრამ ძალიან კარგად იცით, რომ ჩვენი დეპუტატები ამას ვერ და არ ახორციელებენ, რის გამოც, ამხელა ორგანიზაცია, რომლის შენახვაც გვარიანი თანხა უჯდება ბიუჯეტს, არაფრის მაქნისი არ არის. ალბათ, ადევნებდით თვალს ბიუჯეტების დამტკიცებას. ერთი-ერთზე აუხდათ ყველაფერი, რაც ვუთხარით ოპოზიციის წარმომადგენლებმა. ამის მიუხედავად, უაზრო, შუშის თვალებით შემოგვყურებენ და არაადეკვატური პოლიტიკური განცხადებებით შემოიფარგლებიან. სამწუხაროდ, უმაღლესი საბჭო არ არის ის ორგანო, რომელიც რაიმე ქმედით ნაბიჯებს დგამს რეგიონში. ჩვენ მაინც ვცდილობთ, ჩავერთოთ ამ ორგანოს მუშაობაში და მთავრობაზე ზეწოლის ყველა ბერკეტი გამოვიყენოთ. ასე გაგრძელდება მომავალშიც.

**- როგორ შეაფასებთ სალომე ზურაბიშვილის ეროვნული შერიგების მცდელობას და მოწოდებას ე.წ. სიძულვილის ენის შეწყვეტის თაობაზე?**

- ის რომ პოლარიზება უნდა დასრულდეს, სიძულვილის ენით აღარ ვისაუბროთ, ამას ყველა მხარე აღნიშნავს, მაგრამ ვინ რისი გამკეთებელია, ეს არის საკითხავი. რას ვაკეთებთ „სიძულვილის ენის" დასასრულებლად და პოლარიზების აღმოსაფხვრელად? თუკი ქალბატონ სალომეს ეროვნული შერიგება მართლაც სურს, მას გააჩნია ამისთვის საჭირო ბერკეტები და აამოქმედოს, რას ელოდება? ჯერჯერობით, საუბრის იქით, რეალურად გადადგმულ ნაბიჯსაც კი ვერ ვხედავ. არადა, ქალბატონ პრეზიდენტს მართლა აქვს ქვეყნის ახალ რელსებზე გადაყვანის შანსი. იყო შეხვედრები, საუბრები, სხვა პრეზიდენტებიც ჩაერთო სქემაში, თუმცა საქმე არ დაძრულა ადგილიდან, ისევ ერთ ადგილს ტკეპნის.

**- რა ეტაპზეა პარლამენტში სააკაშვილის საქმის გამოსაძიებელი კომისიის შექმნის პროცესი?**

- თქვენს პირველ კითხვას რომ დავუბრუნდეთ, ჯაფარიძე-ნათელაშვილისთვის მანდატის ჩამორთმევის შესახებ, ეს პროცესი ამ კომისიის შექმნასთან პირდაპირ კავშირშია. „ქართული ოცნება" ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ვერ შეგროვდეს კომისიის შექმნისთვის აუცილებელი ხმების რაოდენობა პარლამენტში.

**- მხოლოდ ამიტომ გარიცხეს?**

- რა თქმა უნდა, საქართველოს პარლამენტში უნდა იყოს 150 დეპუტატი, ახლა ბევრად ნაკლებია. ცდილობენ, არავინ გააჩერონ იქ, ვინც ცოტათი მაინც განსხვავებულად ფიქრობს.

**- რას ფიქრობთ უგულავას ინიციატივაზე, რომ პატარ-პატარა პარტიების გაერთიანებით, საქართველოში მესამე რეალური ძალა ჩამოყალიბდება?**

- ვეთანხმები აბსოლუტურად. საქართველოში ჩატარებული ყველა კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი „ქართული ოცნების" წინააღმდეგია, ისინი არც ენმ-ს უჭერენ მხარს. ეს არის ობიექტური რეალობა. ანუ არსებობს ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატი, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პოლიტიკური კოორდინაცია ყველა ოპოზიციურად განწყობილ ადამიანს შორის. თუ რა ფორმატში მოხდება ეს გაერთიანება, არ ვიცი, მაგრამ რომ უნდა მოხდეს - ფაქტია. სხვანაირად, ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთხელ შეძლებს გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა.

იხ. მე-7 გვ.

# ბავშვის უფლებების დაცვა – მთავარი პრიორიტეტი

## ბათუმი კონფერენციისთვის ემზადება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*2020 წლის 25 მარტს, იუნისეფის ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ბავშვთა უფლებების ცენტრი, რომლის მიზანი ბავშვთა უფლებების დაცვის კულტურის გაძლიერება. 2-3 ივნისს უნივერსიტეტი უმასპინძლებს პირველ საერთაშორისო კონფერენციას საქართველოში, რომლის თემაა „ხარისხიანი ადრეული განათლება და ზრუნვა, გამოწვევები, მიდგომები, ახალი პერსპექტივები ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების ჭრილში“. კონფერენცია გაიმართება აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით და მას უშუალოდ უნივერსიტეტი უხელმძღვანელებს. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ* ***ლელა თურმანიძეს.***



- როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 1994 წელს საქართველო მიუერთდა ბავშვთა უფლებების კონვენციას, რითაც აიღო ვალდებულება, ხელი შეუწყოს ბავშვის უფლებების დაცვასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინება, მისი ღირსების დაცვა, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზება და დაცვა ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე, საზოგადოებაში მომზადება, ბავშვის აღზრდა მაღალზნეობრივი ღირებულებებით, განსაკუთრებით, მშვიდობის, ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით, - გვითხრა ქალბატონმა ლელამ, - მოგეხსენებათ, განათლების სფერო სრულად არის ჩართული ბავშვთა უფლებების საკითხებში, თავად ბავშვის აღზრდა ხდება ადრეული და სკოლამდელი ასაკის, ასევე ზოგადი განათლების საფეხურზე და აქ დასაქმებული ადამიანების უშუალო პასუხისმგებლობის საქმეა კონვენციის მოთხოვნათა შესრულება. რაც შეეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ერთი მხრივ, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ სკოლამდელი დაწესებულებები და სკოლები სათანადო ცოდნისა და უნარების კადრებით, მეორე მხრივ, ჩვენი ვალდებულებაა გამოვიკვლიოთ ბავშვთა უფლებების სფეროში არსებული პრობლემები და შევთავაზოთ მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტის გზები, ავამაღლოთ საზოგადოების ცნობიერება ბავშვთა უფლებების საკითხებში. კონვენციის მოთხოვნათა დაცვის მიზნით, ქვეყანაში არაერთი საკანონმდებლო აქტი შემუშავდა და ამოქმედდა. ასე მაგალითად, 2016 წელს მიიღეს საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ, 2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ბავშვთა უფლებების კოდექსი, შემუშავდა სწავლების სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლის მომზადების პროგრამების სტანდარტები, განხორციელდა არაერთი პროექტი ევროპის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების, მიღებული საკანონმდებლო აქტების იმპლემენტაციის მიზნით. მოხარული ვარ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საკუთრივ ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, საკმაოდ აქტიურადაა ჩართული არსებული გამოწვევების კვლევისა და ცოდნის გავრცელების საკითხებში. წელს, ჩვენი უნივერსიტეტი უმასპინძლებს პირველ საერთაშორისო კონფერენციას საქართველოში, რომლის თემაა „ხარისხიანი ადრეული განათლება და ზრუნვა, გამოწვევები, მიდგომები, ახალი პერსპექტივები ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების ჭრილში“. ღონისძიების მიზანია, ხელი შეუწყოს აკადემიურ დისკუსიასა და ცოდნის გაზიარებას ადრეული განათლებისა და ზრუნვის ხარისხის, წვდომისა და ინკლუზიის საკითხებზე, უზრუნველყოს სფეროში მოღვაწე ადამიანების პროფესიული განვითარება და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების საკითხებში. ორდღიან კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, გაეროს სააგენტოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აკადემიური საზოგადოების, ადგილობრივი მთავრობის, არასამთავრობო სექტორისა და ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროს წარმომადგენლები, სტუდენტები. ისინი თავიანთ ხედვას გაგვაცნობენ ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებზე, დიალოგის ფორმატში მიღებული იქნება შეთანხმებები გარკვეულ საკითხებზე, წარმოიქმნება ახალი საკვლევი თემები მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომების შესამუშავებლად. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის მუდმივი ზრუნვა და მხარდაჭერა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გაეროს ბავშვთა ფონდს თანამშრომლობის დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 2014-2016 წლებში, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ესტონეთის ფონდ „ინოვეს“ მხარდაჭერით, განხორციელდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების (60-კრედიტიანი) ტექნიკური დახმარების პროექტი. 2017 წლიდან უნივერსიტეტი გაეროს ბავშვთა ფონდის, ესტონეთისა და საქართველოს მთავრობების თანამშრომლობით ჩართულია პროგრამაში - „ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა საქართველოს ბავშვებისათვის“. მისი მიზანი სკოლამდელი და ზოგადი განათლების სფეროში მომავალი მასწავლებლების მოსამზადებელი საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის გაზრდაა. იუნისეფის მხარდაჭერით და დახმარებით საქართველოს ცხრა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მომზადდა დაწყებითი განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა. იუნისეფის და ესტონეთის მთავრობის მხარდაჭერით შედგა არაერთი საინტერესო, სასარგებლო სამუშაო შეხვედრა თუ ტრენინგი როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში ესტონელი, პოლონელი ექსპერტების მონაწილეობით. ესტონეთის მთავრობის დაფინანსებით, ესტონეთის განათლების სისტემის შესწავლის და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ბსუ-დან ორი აკადემიური პირი სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდა ესტონეთში. ჩვენს უნივერსიტეტში მზადდება სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. იუნისეფის ინიციატივით, პროგრამის სამუშაო ვერსია ითარგმნა და გაიგზავნა ექსპერტიზაზე ესტონელ და იტალიელ ექსპერტებთან. შარშან, 1 სექტემბრიდან დეკემბრის ბოლომდე, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემაზე: „სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის, ადრეული განათლების სილაბუსების შემუშავება და დანერგვა“. უნივერსიტეტში შექმნილმა ბავშვთა ცენტრმა დაგეგმა და დავიწყეთ სემინარების, ტრენინგების, დისკუსიების ჩატარება ბავშვთა უფლებების მიმართულებით ცოდნის შექმნისა და გავრცელების მიზნით. გვინდა, მადლიერება გამოვხატოთ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ, რომლის უშუალო მხარდაჭერით, არაერთი ღონისძიება ჩაატარა უნივერსიტეტმა, მათ შორის სეზონური სკოლა - „სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება (ადრეულ განათლებაში ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის მიმართულებით)“, ითარგმნა და გამოსაცემად მზადდება უცხოენოვანი სახელმძღვანელო ადრეულ განათლებაში. სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამა“ დამატებითი და ძალიან მნიშვნელოვანი რესურსია რეგიონის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რათა დაგეგმონ და განახორციელონ მნიშვნელოვანი სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო ღონისძიებები როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, - აღნიშნა ლელა თურმანიძემ.

სწორედ კონფერენციასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს რამდენიმე ხნის წინ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, იუნისეფის წარმომადგენელმა საქართველოში ღასან ხალილმა და მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

- მოხარული ვარ, რომ ვუმასპინძლებთ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ორგანიზებულ მორიგ საერთაშორისო კონფერენციას. ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ჩამოყალიბებული ბავშვის უფლებების ცენტრი შეასრულებს რესურსების ჰაბის ფუნქციას და ხელს შეუწყობს ბავშვის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას როგორც სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და აკადემიურ წრეებს, ისე მშობლებსა და ბავშვებს შორის. ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ აღნიშნული ცენტრი გახდეს სკოლამდელი განათლების სფეროს წარმომადგენელთა შეკრების ადგილი და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ განვითარებას, - აღნიშნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა მერაბ ხალვაშმა.

- მნიშვნელოვან კონფერენციას უმასპინძლებს ბათუმი, რომელზეც ორი დღის განმავლობაში განიხილავენ საქართველოში ადრეული განათლებისა და ზრუნვის სფეროში არსებულ გამოწვევებს, მიდგომებს, დასახავენ ახალ პერსპექტივებს. საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში, განათლების სფეროს წარმომადგენლები და პოლიტიკოსები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას ადრეულ განათლებასა და ზრუნვის სფეროზე კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენასთან, ასევე, ინოვაციურ და ალტერნატიულ მიდგომებთან დაკავშირებით, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

- მადლობას ვუხდით ბათუმს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებისა და მასპინძლობისთვის. მოუთმენლად ველით კონფერენციას, რომელიც ადრეული განათლებისა და ზრუნვის სფეროს ექსპერტებს, მასწავლებლებსა და პოლიტიკოსებს მისცემს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას. იმედი გვაქვს, რომ კონფერენცია და უნივერსიტეტთან არსებული ბავშვის უფლებათა ცენტრი ხელს შეუწყობს საქართველოში ხარისხიანი სკოლამდელი განათლებისა და ბავშვის უფლებების კულტურის გაძლიერებას, რათა ყველა ბავშვს ცხოვრებაში საუკეთესო სასტარტო პოზიცია მიეცეს, - აღნიშნა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა ღასან ხალილმა.

***„ვუმასპინძლებთ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ორგანიზებულ მორიგ საერთაშორისო კონფერენციას. ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით ჩამოყალიბებული ბავშვის უფლებების ცენტრი შეასრულებს რესურსების ჰაბის ფუნქციას და ხელს შეუწყობს ბავშვის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას როგორც სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და აკადემიურ წრეებს, ისე მშობლებსა და ბავშვებს შორის***



# უნარიანი ხელმძღვანელი - ერის სამსახურში

***ქედის რაიონის ისტორიას ადამიანები ქმნიან. მე-20 საუკუნის წარმატებულ ქედელთა რიგებში ამირან ანანიძეს ასახელებენ. მისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები იმ დროის თანმდევია, როცა ოსმალთა ბატონობისგან თავდახსნილი აჭარის სოფლებში, მედრესეების ნაცვლად, საუკუნოვანი დუმილის შემდეგ აღდგენილ ქართულ სკოლებში ისევ აწკრიალდა ზარი, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მოვლინებული პედაგოგები აჭარაში მცხოვრები გოგო-ბიჭების განათლების სადარაჯოზე დადგნენ***



- ცხმორისში ორი ოსმან ანანიძე გვყავდა. ერთმა საუკუნე უკან მოიტოვა და ღირსეული შთამომავლობა დატოვა, - ამბობს მხცოვანი პოეტი შოთა ანანიძე, - მას არც სეხნია და ნათესავი ჩამორჩა. ის თანამეცხედრე უმიანთან ერთად სოფელს პატრონობდა, მტერ-მოყვარის ფასი იცოდა, შვილების აღზრდას, დაკვალიანებას გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1922 წლის მარტში მათ ოჯახში მეოთხე ვაჟი დაიბადა. ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა 10 წელი იყო. ერთი თაობის ანანიძეებს საფიქრალ-სადარდებელიც ბევრი გვქონდა და ქვეყნის, ერის მსახურებაც ერთნაირად გათავისებული. ამირანის შრომისმოყვარეობა, სამსახურებრივი წინსვლა, ადამიანებთან ურთიერთობის გამორჩეული ნიჭი, მისი როლი და ადგილი როგორც ქვეყნის, ისე სოფლისა და გვარის წინაშე ასაკთან ერთად, კიდევ მეტად წარმოჩნდა.

ამირანის შესაძლებლობები ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ ცხმორისის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგებს. იმხანად აჭარის მთიანეთში საშუალო სკოლის სტატუსით ღორჯომის, ხიხაძირის, ქედის სკოლები მუშაობდნენ. მოვლინებული პედაგოგები ნიჭიერ ჭაბუკებს სწავლის გაგრძელების რეკომენდაციას აძლევდნენ. 16 წლის ამირან ანანიძემ ასეთი ადამიანების რჩევით ქედის პედაგოგიურ ტექნიკუმში გააგრძელა სწავლა.

მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, სამხედრო სამსახურში გასაწვევი ასაკის ჭაბუკს გორის სასწავლო პუნქტში უხმეს, ფრონტზე გასაგზავნად ამზადებდნენ. მისი ძმა ხასანი უკვე იბრძოდა. ქვეყანას სამხრეთ საზღვრიდანაც მტრის შემოტევის საფრთხე შეექმნა. ამირანთან ერთად ასეულობით ახალგაზრდა აჭარის მთიანეთის სოფლებში დააბრუნეს და საზღვრის უსაფრთხოების სამსახურში ჩართეს. პარალელურად, იგი ცხმორისის არასრულ საშუალო სკოლაში პედაგოგად და კოლმეურნეობაში მოანგარიშედ მუშაობდა.

ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან აჭარაში მოვლინებული გოგონები მთიელი ჭაბუკების თვალს იტაცებდნენ, რაც შემდგომში ოჯახის შექმნის საფუძველი ხდებოდა. ასე მოხდა ამირანის შემთხვევაშიც. ცხმორისელი ვაჟის ცხოვრების მეგზური მცხეთელი მარინა მისირელი გახდა.

ამირანის მრავალმხრივი და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობის გზაზე ერთგვარ ტრამპლინად იქცა ბათუმელი ახალგაზრდების წინამძღოლობა. იგი მთიელი ჭაბუკებიდან პირველი იყო, რომელსაც არაერთი საპატიო მისია დაეკისრა. 6-წლიანი მუშაობის შემდეგ, საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიონული კომიტეტის მდივნად აირჩიეს. მაშინ ბათუმის რაიონად ახლანდელი ხელვაჩაურის რაიონი ითვლებოდა. ცალკეულ თანამდებობებზე მუშაობის შემდეგ ბათუმის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დაინიშნა, სულ მალე კი ქედის რაიონის პირველ მდივნად დააწინაურეს. რაიონის პირველი პირის მოზომილი, ადგილობრივი პირობების შესაფერისი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პრობლემების მოწესრიგებაზე გათვლილი მუშაობა ქედელებს მოსწონდათ და ამას დღესაც უფასებენ.

- სკოლის მოსწავლეებიც კი ვგრძნობდით იმ გულისხმიერ დამოკიდებულებას, რასაც რაიონის ხელმძღვანელობა იჩენდა ხალხის მიმართ. ამ წლების მონაგარია სოფლებში საგანმანათლებლო და კულტურის ობიექტების მშენებლობა, გზების გაყვანა. ბატონი ამირანი დაინტერესებული იყო ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლა-განათლებით. მას საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა იმ უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლის სტუდენტი თავადაც იყო. მან პედაგოგიურ განათლებას აგრონომის დიპლომიც შემატა, - გვითხრა ქედელმა შოთა ბერიძემ.

80 წელს მიტანებულ ქობულეთელებს ის წლებიც ახსოვთ, როცა ამირან ანანიძე ამ ადმინისტრაციული ერთეულის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო. გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩაქვის ჩაის, ციტრუსების მეურნეობის, აჭყვის, ლეღვას, მუხაესტატეს, ჩაისუბნის, საჩინოს, ციხისძირის, კვირიკეს, ცეცხლაურის, ბობოყვათის, ხუცუბნის ტერიტორიებზე აჭარის მთიანეთიდან ჭარბი შრომითი რესურსის გადმოყვანის ინიციატორთაგანი ამირანიც იყო.

აჭარის ბარის რაიონების სოფლების ეკონომიკა ვითარდებოდა. საკარმიდამო ნაკვეთებზე მოყვანილი ციტრუსოვანი კულტურების მოსავლის რეალიზაციით ოჯახების წლიური შემოსავალი იზრდებოდა და მათ კეთილდღეობაზე აისახებოდა. მთიანეთის სოფლებში ადამიანები მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ, მაგრამ ანაზღაურებას ვერ იღებდნენ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელად პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის მოსვლის შემდეგ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამირან ანანიძე (ამ სამინისტროს 1965-1980 წლებში ხელმძღვანელობდა) რეგიონის პირველ პირს საქმიანი წინადადებით ეახლა. იგი წარმოებული თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებას და მიმღებ პუნქტებში არსებული განუკითხაობის აღმოფხვრას ითხოვდა. მის წინადადებებს ვახტანგ პაპუნიძემ კერძო სექტორში თამბაქოს გაშენების ინიციატივაც მიუმატა. ტექნიკური კულტურის მოყვანის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ამაღლდა. აჭარის მთიანეთის სოფლებში აგებული ქვითკირის საცხოვრებელი სახლები იმ დროს გატარებული რეფორმის ნაყოფია.

> ***„მთიანეთის სოფლებში ადამიანები მთელი წლის განმავლობაში მუშაობდნენ, მაგრამ ანაზღაურებას ვერ იღებდნენ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელად პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის მოსვლის შემდეგ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამირან ანანიძე (ამ სამინისტროს 1965-1980 წლებში ხელმძღვანელობდა) რეგიონის პირველ პირს საქმიანი წინადადებით ეახლა. იგი წარმოებული თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებას და მიმღებ პუნქტებში არსებული განუკითხაობის აღმოფხვრას ითხოვდა***

ამირან ანანიძემ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო რომ ჩაიბარა, ქედის, შუახევის, ხულოს რაიონებში რენტაბელური კოლმეურნეობები საძებარი იყო. კოლმეურნეობათა გაერთიანებას, სხვა ღონისძიებებს სოფლების ეკონომიკის გაძლიერება მოჰყვა, რაც ადამიანების ცხოვრების დონეზეც აისახა. შუახევში პირველი მილიონერი კოლმეურნეობა ოლადაური გახდა, შემდეგ - სხვები. იგივე ითქმის ხულოსა და ქედაზე.

მრავალშვილიან ოჯახში დაბადებულმა, სიცოცხლის ბოლომდე მეუღლესა და ორ შვილს უერთგულა.

პუბლიცისტი, მრავალი წიგნის ავტორი შალვა ანანიძე ამირანის თანასოფლელი და ახლობელია. იგი იმ წლებში აირჩიეს სოფლის ხელმძღვანელად, როცა ამირანი აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო. ორივეს დამსახურებაა, რომ ამ დროს ცხმორისში სოფლის ადმინისტრაციული შენობა, კულტურის სახლი აიგო. საავტომობილო გზები გაიყვანეს თაგინაურის, სარიჩაირის, ჯაზიგორის მთებში. მეტი ყურადღება ექცეოდა სოფელში არსებულ მატერიალური კულტურის ძეგლებს, ბუნებრივი რესურსების მიზნობრივად გამოყენებას, გარემოს დაცვას.

- 1989 წელს ბათუმში საცხოვრებლად გადმოვედი, - გვითხრა შალვა აბაშიძემ, - ამირანი უკვე პენსიონერი იყო. მისი გამოჩენა ბათუმის ზღვისპირა პარკში ყოფელთვის გვიხაროდა. თავისებური სიდინჯით წარსულს გაიხსენებდა, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში არსებულ ვითარებას შეაფასებდა. ამბის ჭორის დონეზე მოყოლა არ სიამოვნებდა. როცა წიგნზე «დედაო - ჩემო ქედაო» მუშაობა დავიწყე, ცოცხალი აღარ იყო. 71 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი ჩემზე 25 წლით უფროსი იყო. ბრძნული შეგონებები იცოდა, ხშირად პრაქტიკულ მაგალითებსაც მოიშველიებდა. 60 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ცხმორისელებს შორეული მანძილიდან თუჯის მილებით სასმელი წყალი გამოუყვანა. სოფელი, სადაც საჯარო სკოლა, ბაგა-ბაღი, ადმინისტრაციული ობიექტი, სამლოცველო გვაქვს, ახლაც ამ წყალს იყენებს. მადლი მის სახელს და საქმეებს.

# «გომარდულის თასი» გათამაშდა

***აჭარის სათხილამურო ფედერაციის, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, შუახევის სასპორტო სკოლის ორგანიზებით, გომარდულში ხულოსა და შუახევის სასპორტო სკოლებთან არსებული სათხილამურო სექციების ორი ასაკობრივი ჯგუფის გოგონათა და ვაჟთა მონაწილეობით ასპარეზობა გაიმართა***. «გომარდულის თასის» მოსაპოვებლად ტურნირში დანისპარაულის, ქედლების, გომარდულის, ბარათაულის, ოლადაურისა და მაწყვალთის გუნდები მონაწილეობდნენ.

- რამდენიმე წელია «გომარდულის თასი» თამაშდება, მაგრამ მონაწილეთა ასეთი რაოდენობა, სპორტული ჟინი, სკოლების, სექციების ხელმძღვანელობის ჩართულობა პირველად ვნახე, - გვითხრა სათხილამურო ფედერაციის მთავარმა მწვრთნელმა, ტურნირის მთავარმა მსაჯმა ვახტანგ მეხეშიძემ.

ტრასაზე პრველად «გამხსნელები» ჩამოსრიალდნენ. 6 მონაწილეს შორის მაღალი შედეგი თემურ მიქელაძემ აჩვენა.

2008-2010 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის პირველი-მეორე ადგილები ელზა ჩოგაძემ და თამთა მამალაძემ გაიყვეს. 2005-2007 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის შეჯიბრების ორგანიზატორები ფავორიტებად გომარდულისა და ქედლების სპორტული სექციების აღსაზრდელებს ანუკი ჭაღალიძეს და ნატა მეხეშიძეს მიიჩნევდნენ. ანუკიმ ფინიშის სწორზე შეცდომა დაუშვა და პირველი ადგილი ნატა მეხეშიძეს ხვდა წილად. მეორე-მესამე ადგილებზე მარი კოჩალიძე და ზეინაბ ჩოგაძე გავიდნენ.

2008-2010 წლებში დაბადებული 22 ვაჟი დადგა სტარტზე. მათგან მხოლოდ ხუთმა ვერ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ისინი შეჯიბრებას ტრასაზე დაშვებისას გამოეთიშნენ. ამ ასაკობრივ ჯგუფში პირველი-მესამე ადგილები თემურ გელაძემ, მირიან პაქსაძემ და ბექა ცეცხლაძემ დაიკავეს.

2005-2007 წლებში დაბადებულ ვაჟ სპორტსმენებს შორის მაღალი შედეგები ოლეგ პაპიძემ, რატი შავაძემ და მამუკა ჭაღალიძემ აჩვენეს.



ორ-ორ ასაკობრივ ჯგუფში საპრიზო ადგილებზე გასულ მოთხილამურეებს შეჯიბრების ორგანიზატორებმა მედლები, თასები, საპატიო სიგელები გადასცეს. «გომარდულის თასი» გოგონათა შორის ნატა მეხეშიძემ დაისაკუთრა, ხოლო ვაჟებში - თემურ გელაძემ. მათ თასები აჭარის სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ მეხეშიძემ გადასცა.

- «გომარდულის თასი» ორწლიანი ინტერვალის შემდეგ ისევ გათამაშდა. მონაწილეთა რაოდენობა, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ჩართულობა გვავალდებულებს, რომ უფრო მეტი გავაკეთოთ სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებისთვის. სულ მალე გოდერძის სათხილამურო ტრასები აჭარის პირველობას უმასპინძლებს სლალომში. ორ ასაკობრივ ჯგუფში გამარჯვებული გოგონები და ვაჟები საქართველოს პირველობაზე მოსინჯავენ ძალებს, - გვითხრა თემურ მეხეშიძემ.

# საქმეს წარმატებით უძღვება

***2002 წლის ნოემბერში ზვარეს წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი საზეიმოდ აკურთხეს გიორგობის დღესასწაულზე.*** მას შემდეგ ქედის მუნიციპალიტეტის ზვარეს ადმინისტრაციული ცენტრის ტერიტორიამ მეტი დატვირთვა შეიძინა. ტაძრის შემოგარენში კვების ობიექტები, ხოლო ზვარისწყალზე თევზსაშენი მეურნეობები მოეწყო. ტერიტორიის მეპატრონე ზვარეს ტაძრის ხუროთმოძღვარი თამაზ (ზენონ) ჯაბნიძე და მისი ახლობლები არიან. ანზორ, ბეგლარ, ემზარ და რაულ ჯაბნიძეებიც ფლობენ ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს, მაგრამ ძმებმა სამსახურებრივი დატვირთვის გამოა აქ მუშაობა ვერ შეძლეს და მისი მოვლა ზაურისა და მის მეუღლეს ინდირა ბერიძეს ანდეს.



რაული ბერძნული კომპანიის ტვირთმზიდი ტანკერის მეზღვაურია. ზღვა და ფერმერული საქმიანობა თითქმის შეუთავსებელია. იმხანად, როცა ზღვაში გასვლა ველარ შეძლო, რესტორანი «ჯაბნივრი» და თევზსაშენი მეურნეობა მოაწყო. როცა გემზე უხმეს, რესტორნისა და თევზსაშენი მეურნეობის მეურვეობა ინდირამ ითავა, თანაც ხუთი ადგილობრივი - ლამზირა ბერიძე, შორენა ნაკაშიძე, რამაზ ჯაბნიძე, თამაზ დოლიძე, დამირ გორგაძე დაასაქმა.

- 10 წელია აქ ვმუშაობ. შარშან 4 ტონა თევზი ვაწარმოეთ. ტურისტებთან ერთად კალმახს ადგილობრივებიც ყიდულობენ. ადრე რესტორანს სეზონურად ვამუშავებდით, წელს, უხვთოვლიან ზამთარშიც, მუშაობა აღარ შეგვიწყვეტია. სანაშენე მეურნეობის გაფართოებას, სასტუმროს მშენებლობას ვაპირებთ, გვინდა საგრანტო კონკურსში ჩავერთოთ, აქამდე გრანტით ან სხვა შეღავათით არ გვისარგებლია, - გვითხრა ინდირამ.

**გვერდი მოამზადა**
**ოთარ ცინარიძემ**

# „წარმატების საზომ ერთეულად ავიღებდი ადამიანთა გაბედნიერების ინდექსს“

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**



*ქალთა უფლებები მრავალი წლის განმავლობაში იგნორირებული იყო, ხოლო მათი ხმა - ყველაზე ჩუმი, უიმედო და სასოწარკვეთილი. ქალებმა ხანგრძლივი, საინტერესო და წინააღმდეგობრივი გზის გავლის შედეგად მიაღწიეს იმას, რომ მათი როლი უმნიშვნელოვანესი გახდა.*

***ლიზა ანთაძე** „საორსას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელია, რომელიც განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ისეთ პროექტებზე, რომლებიც ორიენტირებულია ქალთა გაძლიერებასა და მათი უნარ-ჩვევების განვითარებაზე.*

*ჩვენი სტუმარი მოგვიყვება განვლილ გზაზე, იმაზე, თუ რა გამოწვევის წინაშეა და რა არის მისთვის წარმატების მთავარი საზომი.*

- ადამიანები, მათთან კომუნიკაცია და მუდმივი განვითარება არის ის, რაც ჩემს პიროვნებას ასაზრდოებს. სრული ჰარმონიაა საკუთარ თავთან და სამყაროსთან, როცა იცი, ვინ ხარ, რას და რატომ აკეთებ, რა არის შენი ღირებულებები.

**- მე, როგორც პიროვნება...**

- ყველაფერი საკუთარი თავისა და სამყაროს შემეცნების წინაპირობით დაიწყო. დაიწყო იქ, სადაც დაიბადა, ჩამოყალიბდა და ვითარდება ჩემი პიროვნება. ეს არის ადგილი, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი არის ადამიანი, ჰუმანურობა, ზრუნვა, სიყვარულის მიღება და გაზიარება. ეს ადგილი „საორსაა“, „პატარა სახელმწიფო“ - დიადი და ღრმა მისიით, მიზნებითა თუ ღირებულებებით. არ არის მარტივი საკუთარი თავის შემეცნების პროცესი. ამ დროს ჩვენი გონება, სხეული, ქვეცნობიერი თუ ცნობიერი ერთი მიზნისკენ იმართება და სვამს მთავარ კითხვას: ვინ ვარ და რა მინდა მე? სწორედ ეს კითხვებია საწყისი „მე“ კონცეფციისა, რომელიც სრულად განსაზღვრავს ჩვენი პიროვნების რაობას აწმყოსა თუ მომავალში.

**- გამოწვევა...**

- ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, ქალისთვის, ახალგაზრდისთვის სხვადასხვა გამოწვევა არსებობს, რომელთა წინაშე დიდი პასუხისმგებლობა მაქვს. ვახსენე სიტყვა - პასუხისმგებლობა, რადგან თითოეულ გამოწვევას სჭირდება ახსნა/წინაპირობის გამოკვლევა და პრევენცია. ძალზე მნიშვნელოვანია სრულად მიღება და აღიარება რეალობის, შემდგომში კი მსჯელობა უკეთესი შესაძლებლობების შესაქმნელად.

**- წარმატება...**

- დღევანდელ რეალობაში წარმატების გაგება ძალიან ზოგადი გახდა - ხშირად ვფიქრობ, რა აქცევს ადამიანს წარმატებულად? ან როდისაა საქმე წარმატებული? ვგონებ, ეს ხდება მაშინ, როცა დგები პოზიტიური შედეგების წინაშე, როცა შენი შედეგი მხოლოდ საკუთარი თავის კი არა, გარშემომყოფთა შესაძლებლობების განვითარებაზე გადის. წარმატების საზომ ერთეულად ავიღებდი ადამიანთა გაბედნიერების ინდექსს. წარმატებისა და ბედნიერების მასაზრდოებელი თუ მამოძრავებელი ძალა არის ზრუნვა და სიყვარული. მჯერა, რომ ყველა ადამიანში არის ნათელი წერტილი, რომელიც შთააგონებს მას, მიიღოს და გასცეს სამყაროში არსებული ყველა დადებითი გრძნობა თუ ემოცია.

**- დღეს...**

- პიროვნული და პროფესიული ყოფის შექმნა და მუდმივ რეჟიმში განვითარება არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი რგოლი ცხოვრებისეულ ჯაჭვში, რომლის საზღვარი გადის კომუნიკაციის, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ხაზზე. სალი აზრებით, მსჯელობით საკუთარ თავთან თუ გარშემომყოფებთან, ანალიზითა და დაკვირვებით შევძელი ჩემი პიროვნული და პროფესიული ყოფის შექმნა, ახლა სწორედ განვითარების პროცესში ვარ. ეს პროცესი ისეთივე მნიშვნელობისაა ჩემთვის, როგორც ბავშვის დაბადების შემდგომ მისი ზრდა და განვითარება.

# ჰანს კლუგეს მადლობა – ქართველ მედიკოსებს

ჯანმო-ს ევროპის რეგიონულმა დირექტორმა ქართველ სამედიცინო პერსონალს პანდემიის წინააღმდეგ გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ჰანს კლუგემ წერილი და სპეციალური ჯილდო ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გამოგზავნა.

აღსანიშნავია, რომ ჯანმო-მ გასული წელი მსოფლიოში სამედიცინო პერსონალის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. სწორედ ამ მოვლენის აღსანიშნავად შეიქმნა სპეციალური ჯილდო, რომელიც ქართველმა სამედიცინო პერსონალმა მიიღო.

„2021 წელი ძალიან მძიმე იყო როგორც ფიზიკური, ისე მორალური კუთხით ევროპისა და, ზოგადად, მთელი მსოფლიოსთვის. კოვიდ-19-ის პანდემია ნამდვილი გამოცდა და წარმოუდგენელი ტვირთი აღმოჩნდა ჩვენი ჯანდაცვის სისტემებისა თუ სამედიცინო პერსონალისთვის“, - ნათქვამია წერილში. ჰანს კლუგეს თქმით, მედიკოსები თავდაუზოგავად ებრძვიან ინფექციას, მათი ჯანმრთელობა კი მუდმივად რისკის ქვეშაა. „გამოჩენილი ერთგულებისთვის, თავდადებისა და თავდაუზოგავი შრომისთვის მინდა, ეს ჯილდო, თქვენი სამინისტროს საშუალებით, გადავცე მედპერსონალს. მინდა, გთხოვთ, სამედიცინო სფეროში დასაქმებულ ადამიანებს მიაწოდოთ ეს ინფორმაცია მათდამი მადლიერებისა და აღიარების ნიშნად“, - აღნიშნულია წერილში.

**ამირან გურიელიძე**

# სოსო მანჯავიძე: თუ პროვოკაციებს არ მოვაწყობთ, რუსეთი თავს არ აიტკივებს საქართველოს ოკუპაციით

მე-3 გვერდიდან

- ეს არ არის გამორიცხული სცენარი, თუმცა რუსეთი ამას არ დაუშვებს. თუ ჩვენ ძალიან არ ვიაქტიურებთ და პროვოკაციებს არ მოვაწყობთ (ნატოს სარაკეტო სისტემების განლაგებაზე თუ არ იქნება საუბრები), რუსეთი საქართველოში არ შემოვა, ანუ არ აიტკივებს თავს ჩვენი ქვეყნის ოკუპაციით. დღევანდელი რუსეთი არ არის საბჭოთა კავშირი, ერთიან კონტექსტში რომ განიხილავდეს კავშირის მოსახლეობას და საკუთარ თავზე იღებდეს ამ ხალხის სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლებას, ამაში ფინანსების დახარჯვას. რუსეთს ღიად აქვს დეკლარირებული, რომ მისი დღევანდელი პოლიტიკა ამას არ გულისხმობს.

**- ნატომ განაცხადა, კარები ღიაao, რას გულისხმობდა?**

- არაფერს, ჯერ არავინ არსად არ გვიშვებს. ნატოში შესვლის პერსპექტივას ამტკიცებენ და ამის სჯერათ სხვადასხვა ტიპის არასამთავრობოებს, დასავლეთის ღრმადმორწმუნე ადამიანებს და პოლიტიკოსებს. ეს გზა წმინდათა წმინდად გამოაცხადეს და ჩაწერეს კიდეც კონსტიტუციაში. ზოგიერთი იმასაც აცხადებს, „ჩვენ იმიტომ არ გვღებულობენ ნატოში, რომ რეფორმები არ ჩავატარეთ“... ბულგარეთსა და რუმინეთში ხომ რას ამბობ, ისეთი რეფორმები ჩატარდა, რომ გერმანიას გაასწრეს...

**- მაინც, საით უნდა გადავიხაროთ?**

- აქეთ ჯობია თუ იქით? - ასეთი მსჯელობა არაპრაქტიკულია. მიმდინარე მოვლენები უნდა აღვიქვათ როგორც გეოპოლიტიკური პროცესი, სადაც მხარეები მოქმედებენ თავიანთი ინტერესების შესაბამისად. უნდა წარმოვიდგინოთ ვეფხვების ბრძოლა ტერიტორიებისთვის და რესურსებისთვის. ხომ არ შეიძლება თქვა - ერთი ვეფხვი კარგია, მეორე ცუდია. გეოპოლიტიკური ბრძოლის დროს ქვეყანა, რომელიც დომინირებს, მაქსიმალურად ცდილობს ვასალი ქვეყნების განიარაღებას, რათა ვერ შეძლონ გადანაწილებაში მონაწილეობა კი არა, თავის დაცვაც კი.

**- თურქეთი და აზერბაიჯანი ააქტიურებენ სამხედრო თანამშრომლობას - თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ თაიფ ერდოღანმა ხელი მოაწერა განკარგულებას შუშის დეკლარაციის დადასტურების შესახებ...**

- ჩვენ გეოპოლიტიკური იზოლატორის ფუნქციას ვასრულებთ ორი სამყაროს, რუსულ-სომხურ-ირანულ ღერძსა და დიდი თურანისკენ მიმართულ, თურქეთ-აზერბაიჯანის ღერძს შორის, სადაც წინააღმდეგობებიც და თანამშრომლობაცაა, მაგრამ ჩვენი ეს დატვირთვა ძალას კარგავს - შიგნიდან არ გვაქვს იმპულსები, რომელიც გააძლიერებდა და გააფართოვებდა საქართველოს გეოპოლიტიკურ ფუნქციას. ბუნებრივია, ყველა მხარე თავისას ცდილობს, მით უმეტეს, ამ დაძაბულობის და გეოპოლიტიკური გადალაგების პროცესში. თურქეთიც და აზერბაიჯანიც გააძლიერებენ თავიანთ სამხედრო აქტივობას და მოქმედების კოორდინაციას, აბა, რას იზამენ.

**- ბატონო სოსო, ვიცი, რომ რთულია, მაგრამ მაინც ვცადოთ პროგნოზის გაკეთება - დაიწყება თუ არა ომი რუსეთ-უკრაინას შორის?**

- რუსეთსაც და ამერიკასაც თავიანთი გეგმები აქვთ, ცდილობენ მოწინააღმდეგისთვის უარეს პირობებში მოხდეს ეს გეოპოლიტიკური გადანაწილება. ახლა ნერვების ომი მიმდინარეობს. იმედს ვიტოვებ, რომ რუსები არ გაამწვავებენ ვითარებას ომის დაწყების ზღვრამდე.

**- შესაძლებელია, რომ დაარტყას?**

- კი. უკრაინაში ამჟამად იმხელა ისტერიაა, რომ არ იძლევა მოვლენების პრაგმატულად შეფასების შესაძლებლობას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვთ საერთაშორისო მხარდაჭერის ცრუ მოლოდინი. გაიხსენეთ, ასე ვიყავით ჩვენც... ქვეყნის შიგნით ძლიერდება დაპირისპირება პრორუსულ და პროევროპულ მოსახლეობას შორის. ახლახან რუსულენოვან პოლიტიკოსს სცემეს. ეს არ იწვევს დადებით ემოციას უკრაინაში მცხოვრებ რუსებში, რომლებსაც წაართვეს პოლიტიკური თვითგამოხატვის საშუალება. ასე ველარ გაგრძელდება, სიტუაცია უნდა განიმუხტოს ან ომით (ომიც სხვადასხვა მასშტაბისაა), ან მოულოდნელი პოლიტიკური შეთანხმებით. პროცესების დისლოკაციის წერტილს უნდა ველოდოთ დღე-დღეზე. ღმერთმა ნუ ქნას, მსხვილმასშტაბიანი ომი დაიწყოს, თორემ გავიღვიძებთ სულ სხვა რეალობაში. მთლიანად შეიცვლება ევროპის პოლიტიკური ლანდშაფტი, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური სიტუაცია, უმძიმესი კრიზისი დაიწყება და შესაძლოა, საერთაშორისო ვალუტის (აშშ დოლარის) ტრაგიკულ ცვლილებასაც მოვესწროთ.

# გიორგი კირთაძე: ბათუმში გარეგანათება გამორთულია და ქალაქის გზები ნაომარს ჰგავს

მე-4 გვერდიდან

**- გახარიას გუნდზე რას გვეტყვით, უკვე გამოიკვეთა თქვენი თანამშრომლობა?**

- მე ვერ ვიტყვი, რომ გახარიაზე მზე და მთვარე ამოგვდის, ან მას - ჩვენზე, მოკლედ, არც ერთი არ ვგიჟდებით ერთმანეთზე, მაგრამ თვითმმართველობების ორგანოებში, ჯამში, გახარიას და ენმ-ის წარმომადგენლები „ქართულ ოცნებაზე“ გაცილებით მეტი ვართ. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ შესაძლებელია ოპოზიციური უმრავლესობის ფორმირება. ამომრჩევლის დაკვეთაა, უარი ვუთხრათ ივანიშვილის მთავრობას, ამიტომ ოპოზიციონერებმა გვერდით უნდა გადადონ პირადი დამოკიდებულებები. კარგია, რომ გახარიაც აცნობიერებს ამას და რამდენიმე მუნიციპალიტეტში შედგა თანამშრომლობა. იმედია, ბათუმშიც ასე იქნება.

**- რა პრობლემების წინაშეა ამ ეტაპზე ბათუმი?**

- ის სოციალური ფონი, რაც დღეს ბათუმშია, მხოლოდ მუნიციპალიტეტის არაეფექტური მუშაობის ბრალი არ არის, ქვეყნის მმართველობის ნეგატიური გამოძახილია. თუმცა, ამის მიღმა, ბათუმს გააჩნია უამრავი შესაძლებლობა, რომლის გახსნაც ჩვენს ქალაქელებს უკეთესად აცხოვრებს. ვგულისხმობ მშენებლობებს გონიო-კვარიათის მიმართულებით, ტურიზმში დიდი ინვესტიციების ჩადებას, ახალი ტურისტული კერების აღმოჩენა-დამუშავებას... რაც მეტი ადამიანის დასაქმების საშუალებას მოგვცემს. ამის ნაცვლად კი რაც გვაქვს, ისიც გაუარესებისკენ მიდის. ის, რომ ბათუმში გარეგანათება გამორთულია და ქალაქის გზები ნაომარს ჰგავს, კიდევ უფრო ამცირებს მისი განვითარების და კეთილმოწყობის შანსს. სამუშაო ბევრია, მაგრამ კორუფციაშია ჩართული მთავრობა, ფულს აკეთებს უნებართვო მშენებლობებში, რითაც ისევ და ისევ, ბათუმის იერსახე ზარალდება. მივდივართ, ვთხოვთ საკრებულოს სხდომის ჩატარებას, მაგრამ ქალაქის მერი პოლიციის ბადრაგს გვახვედრებს და შენობაშიც არ გვიშვებს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ სახელისუფლებო პარტია საკუთარ ქალაქს ბოიკოტს უცხადებს.

# 14 ქართული კომპანია GULFOOD-2022-ში მონაწილეობდა

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ინფორმაციით, გამოფენა ტრადიციულად არაბთა გაერთიანებულ საამიროებში - ქალაქ დუბაიში იმართება და მას ყოველწლიურად საშუალოდ 92 000 ვიზიტიორი სტუმრობს. იგი ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს სასმელი და საკვები პროდუქტის სექტორში. გამოფენაში მონაწილეობა თითქმის ყველანაირი პროდუქტის მწარმოებელს შეუძლია, გარდა ალკოჰოლური სასმელებისა. აღსანიშნავია, რომ საქართველო სააგენტოს მხარდაჭერით ზედიზედ მერვედ მონაწილეობდა აღნიშნულ ღონისძიებაში, ხოლო მონაწილე კომპანიები ყოველწლიურად პოზიტიური შედეგებით ბრუნდებიან, რაც ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის დამყარებასა და პროდუქტის ექსპორტზე გატანას გულისხმობს.

ქართული დელეგაცია გამოფენაზე მრავალფეროვანი ასორტიმენტით - სხვადასხვა თხილეულის, ბოსტნეულის და ხილის ნატურალური წვენების, ლიმონათის, თაფლის, დაფნის, მშრალი ხილის (ჩირის), ჩაის პროდუქტებით იყო წარდგენილი.

**ამირან გურიელიძე**

ციალა, ასლან ვარშანიძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ნუგზარ და ნანა ზოსიძეებს მამისა და მამამთილის
**რომან ზოსიძის**
გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 21/02/22, 20 10 სთ.

დირექტორი მამუკა ბერიძე

# „საბოლოოდ მაინც ხელოვნებამ იფეთქა ჩემში“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*__ნინო ღლონტი__ თვითნასწავლი დიზაინერია, ბათუმში (და არამხოლოდ) ბევრ პატარძალს სწორედ მისი შეკერილი კაბა ამშვენებს. ქმნის საუცხოო, ყველასგან გამორჩეულ ესკიზებს, ალამაზებს დედოფლებს და მათ „მონ პარის“ საქორწინო კაბების სალონში ბედნიერ გარემოს უქმნის.*

*ნინო გურიაში დაიბადა, დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. როგორც თავად ამბობს, ძალიან უყვარდა ხატვა და ესკიზებზე მუშაობა, ასევე - გამორჩეულად ჩაცმა და ეს ყოველთვის ორიგინალური გამოსდიოდა. წლების განმავლობაში ქედის საშუალო სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიას ასწავლიდა, თუმცა ბოლოს მაინც იმ საქმიანობით დაკავდა, რაც ყველაზე მეტად უყვარდა და უკვე 27 წელია, ამ სფეროშია.*

**- ქალბატონო ნინო, რა იყო ბავშვობაში თქვენი ინტერესის სფერო?**

- ჩემი ინტერესის სფერო ძალზე მრავალფეროვანი იყო. გაგიკვირდებათ და, თავიდან მინდოდა ექიმი გავმხდარიყავი. მახსოვს, ბავშვობაში თბილისიდან სამედიცინო ატრიბუტები გამომიგზავნეს და იმით ვირთობდი თავს. შემდეგ ჟურნალისტობა მოვინდომე, მერე - მხატვრობა. ძალიან ბევრს ვხატავდი. ერთხელ ბიძაჩემმა მითხრა: ერთი მხატვარი მეგობარი მყავს, 4 წელია, ერთ სურათს ხატავს, შენ ოჯახი უნდა შექმნა, შვილები უნდა გყავდეს, რა ხატვა, რის ხატვაო. რა თქმა უნდა, ფინანსურ მხარეს გულისხმობდა... ამ სიტყვებმა მაშინ ისეთი გავლენა იქონია ჩემზე, ხატვაზე ხელი ავიღე. ხელოვანი ადამიანი და ოჯახი წარმოუდგენელი იყო იმ დროს. ძალიან მიყვარდა მოგზაურობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და სპეციალობაც ამას დავუკავშირე. გეოგრაფია-



ბიოლოგიის პედაგოგი გავხდი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ხელოვნებამ იფეთქა ჩემში.

**- მხოლოდ სადედოფლო კაბებს კერავთ თუ სხვა ტანსაცმელსაც?**

- დიახ, მხოლოდ სადედოფლო კაბებს, თუმცა ადრე მიყვარდა რაღაცების შეკერვა-გადაკეთებაც. იმდენად მიყვარდა გამორჩეულად ჩაცმა, ინსტიტუტში რომ მივედი... ჯვალოს ტომრები ხომ გინახავთ? ეგ დავჭერი, ფოჩები და „აბორკები“ გავუკეთე, ჩითის ქსოვილი დავუმატე და ჩავიცვი. მამიდაჩემმა რომ დამინახა, ჩემებს უსაყვედურა - ამ ბავშვისთვის ტანსაცმელს რატომ არ ყიდულობთ, ჯვალო აცვიაო (იცინის).

**- რომელ ქსოვილს იყენებთ ყველაზე ხშირად და რომელია უფრო მოთხოვნადი?**

- ატლასი, ტიული, კოტონ-ატლასი, ბისერებით გაწყობილი მაქმანები... არის კიდევ ერთ-ერთი, ძალიან მყარი მასალისგან შედგება - სენდვიჩის ქსოვილს ეძახიან, ძალიან კარგი დგომა აქვს და მასაც აქტიურად ვიყენებთ. ხან საზღვარგარეთიდან ვიწერთ ან ვაბარებთ და შემოგვაქვს, ხანაც ადგილზე ვშოულობთ. სხვათა შორის, საქართველოს ბაზარზეც საკმაოდ კარგი ქსოვილებია.

**- რამდენად რთულია ესკიზის ხორცშესხმა?**

- ვფიქრობ, ეს ძალიან შემოქმედებითი პროცესია. შეიძლება ესკიზი დახატო, რაღაც ჩაიფიქრო, მაგრამ როცა ამის ხორცშესხმას იწყებ, ბევრი რამ შეცვალო. რეალობა საერთოდ სხვაა. მნიშვნელოვანია - ქსოვილი რას გიკარნახებს. მოდელი ზოგჯერ ისე იცვლება, რომ ესკიზთან მიახლოებულიც იშვიათია. ამიტომაც ვამბობ: მკერავი ჩემგან არასდროს დადგება-მეთქი. გაგიკვირდებათ და, საერთოდ არ ვიცი კერვა. არანაირი წესი, არანაირი თარგი... უბრალოდ, დავისახავ მიზნად - ეს უნდა გავაკეთო, გონებას ვძაბავ და ვიაზრებ, ეს როგორ მიიღწევა, ამის გაკეთება როგორ შეიძლება და ასე შემდეგ. აი, პოეტი რომ ავიღოთ, პირობითად - არ იცის, როგორ დაწეროს ლექსი, მაგრამ რითმები ბუნებრივად მოსდის თავში და წერს. აი, ასეთი პროცესი მგონია კერვაც.

**- როგორია კერვის ტექნოლოგია, ჯერ რომელი ნაწილი იკერება, შემდეგ რომელი და ბოლოს რა დეტალით სრულდება?**

- ჯერ იკერება ჩონჩხი, შემდეგ კორსეტი და ბოლოს - კაბის ქვედა ნაწილი. კაბამ საბოლოო სახე რომ მიიღოს, მაქმანით ან ბისერით ლამაზდება და ამ დროს ყველაზე მეტად ვღელავ, ბუნებრივია, ჩემი ნაშრომის შედეგი როგორი იქნება, რას მივიღებ საბოლოოდ - არ ვიცი და სანამ დავასრულებ, როცა შედეგზე ვარ ორიენტირებული, ხანდახან წნევაც კი მიწევს (იცინის). საერთოდ, წინასწარ რთულია, განსაზღვრო, მიიღებ თუ არა ისეთივე კაბას, როგორიც გინდა და იქნება თუ არა წარმატებული მოდელი. ზოგჯერ შეყვარებული ვარ კაბაზე, ორიგინალური, ძალიან გამორჩეულია, მაგრამ სულაც არ მოსწონთ სხვებს, ამიტომ ძალაუნებურად ბაზარზე მორგებას ვიწყებ და სტანდარტებს ვერგები.

**- თავად თქვენი სადედოფლო კაბა ვინ შექმნა?**

- სხვათა შორის, კარგი მკერავი იყო, ზაირა ერქვა იმ ქალბატონს. არ ვიცი, ახლა რას საქმიანობს და სად მოღვაწეობს. 23 წლის ვიყავი და ჩემი ესკიზით მივედი მასთან. მაშინ დაცვენილი, ჩვეულებრივი კაბები ეცვათ. ძალიან გამხდარი ვიყავი და ჩემი „ფიზიონომიიდან“ გამომდინარე, ვიცოდი, არ მომიხდებოდა. ეს „გაბერილი“ კაბები მოდიდან ახლახან გადავიდა, მაშინ პირიქით, აღორძინების ეპოქის, რენესანსის პერიოდის მოდელი იყო. კი შემიკერა, მაგრამ კაბის ქვედა ნაწილის გაშლა ისე ვერ მოახერხა, როგორც საჭირო იყო. ჰოდა, მახსოვს, სახლის ეზოში ღობეს ორი მავთული გამოვაძვრე, რკალი გავაკეთე, ბრტყელტუჩათი დავახვიე ერთი ბოლო მეორეს და კაბას შიგნიდან ორ-სამ ადგილას დავუმაგრე. ეზოში ღობე რომ ჩამოიშალა, ბებოს გაოცებული სახეც მახსოვს, სამაგიეროდ, კაბას სასურველი ფორმა მივეცი და რაც მინდოდა, ზუსტად ის მივიღე. ისეთი კარგი, გაშლილი კაბა გამოვიდა, დედამთილმა ოთახში საწოლებს შორის რომ გამატარა, ვერ გავეტიე (იცინის).

**- გამორჩეული კაბა თუ გაქვთ, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

- რა თქმა უნდა. ყველაზე მეტად ჩემი შვილის კაბა მიყვარს. ღია ვარდისფერი კაბა რეტროს სტილში გადავწყვიტე. მოკლე, ვარდისფერი ხელთათმანებით, თავზე თეთრი ქუდი ვარდისფერი ფატით, ძალიან წარმატებული მოდელი გამოვიდა. წლების განმავლობაში ყველა მეკითხებოდა, ვინ არის ეს გოგო, რა კაბაა და სად არის? სოცქსელებმა მაშინვე აიტაცა და ზოგიერთმა ბრენდმა მიითვისა კიდეც. ძალიან განსხვავებული, საუცხოო იყო. არის კიდევ რამდენიმე წარმატებული კაბა, რომლებიც ძალიან მოსწონთ, რადგან გამორჩეული სტილი მივეცი. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა პატარძლები არ გვიჯერებენ, უნდათ მხოლოდ კონკრეტული მოდელი და მორჩა. იძულებული ვართ, მათ მოვერგოთ.

**- კაბებს ყიდით კიდეც თუ მხოლოდ აქირავებთ?**

- მხოლოდ ვაქირავებთ. ძალიან იშვიათ შემთხვევაში ვყიდით. რამდენიმეჯერ ტურისტებს მივყიდეთ. განსაკუთრებით ებრაელ და უკრაინელ ტურისტებს მიაქვთ.

**- თითო კაბა რამდენჯერ ქირავდება?**

- შეიძლება კაბა ერთხელაც გაქირავდეს და შვიდჯერაც. მთავარია, გაქირავების შემდეგ, როცა დაგვიბრუნდება, პირვანდელი სახე დავუბრუნოთ. გვყავს თანამშრომლები, ვინც კაბებს ასუფთავებენ და აწესრიგებენ.






**- პატარძლები თქვენი ხშირი სტუმრები არიან. სახალისო ისტორია ხომ არ გახსენდებათ?**

- რამდენიმე სახალისო ისტორია გვქონდა. ერთი პატარძალი მოვიდა, რომელსაც კაბა შეუკერია სხვაგან და მამამთილმა ქორწილის დღეს დარბაზში არ შეუშვა - ეს რა გაცვია, ამ კაბით როგორ შეგიშვაო. თავად დედოფალიც უკმაყოფილო იყო, გამოიქცა ჩვენთან, მიშველეთ, დღეს ქორწილი მაქვსო. სალონში რომ შემოვიდა, სად ვიყავი აქამდეო, უცებ ჩაუცვამს ჩვენი კაბა და ბედნიერი გაქცეულა.

**- დიზაინერი რომ არ ყოფილიყავით, ვინ იქნებოდით?**

- მხატვარი ან მწერალი. ალბათ, უფრო შემოქმედებით ცხოვრებას მივყოფდი ხელს, თუ, რა თქმა უნდა, მატერიალურად მყარად ვიქნებოდი. პედაგოგობაზეც არ ვიტყოდი უარს. წლების განმავლობაში სიზმრებში სულ სკოლას და ბავშვებს ვხედავ. ქუჩაში ჩემი მოსწავლე რომ შემხვდება, ასე მგონია, სადღაც შვილი დავკარგე და როცა დავინახავ, ვიცი, ჩემია... ასეთი განწყობა მაქვს სულ.

**- შეკვეთებზე თუ მუშაობთ?**

- ძალიან იშვიათად ვკერავ შეკვეთით, რადგან შეკვეთილი მოდელი უნდა მომეწონოს ძალიან. ინტერნეტიდან გადმოტანილი მოდელი ხშირად ფოტოშოპითაა დამუშავებული. რომ მიიღო ის, რაც გინდა, ზუსტად ისეთივე მასალაც უნდა გქონდეს, რაც ფოტოზეა. დედოფალი ვიზუალითაც უნდა შეეფერებოდეს მას. სურათზე კაბა მოდელებს აცვიათ და ხანდახან ჰგონიათ, რომ მათაც ასევე მოუხდებათ, არადა, შეიძლება პირიქით აღმოჩნდეს. ჩემთვის ეს შემოქმედებაა და არ მინდა, სხვისი მოდელი გადმოვიღო, რადგან პლაგიატობა მიუღებელია. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩემს კაბებს სხვასთან ვერსად ნახავთ. სულ ვამბობ, რომ არსებობს ხელოვანი და ხელოსანი. ხელოსანია, ვინც უპრობლემოდ გადმოაკოპირებს სხვის ნამუშევარს და გაყიდის, ხელოვანი კი, ვფიქრობ, თვითონ უნდა ქმნიდეს. ჩემშიც ხელოვანი უფრო ბუდობს. შეკვეთით აღებული კაბის შექმნა ალბათ არც გამომივა. მინახავს ერთი-ერთში გადაღებული მოდელები და რატომღაც ეს მაღიზიანებს.

**- პანდემიის პერიოდში ქორწილები აიკრძალა, როგორ აისახა ეს თქვენს საქმიანობაზე?**

- რა თქმა უნდა, ძალიან დაგვაზარალა. გვყავდა „ჩუმი დედოფლებიც“. თითქოს არ იყო დაშვებული ქორწილი, მაგრამ ოფიციალურად მაინც არ კრძალავდნენ. პატარძლები მხოლოდ ჯვრისწერას აკეთებდნენ, თეთრი კაბით ვერ შედიოდნენ რესტორანში, ქორწილს იხდიდნენ და ვითომ დაბადების დღეზე იყვნენ. ასეთი პერიოდებიც გამოვიარეთ. ისე, დღემდე ვერ გამიგია, დაბადების დღე არ იყო აკრძალული, ქორწილი - კი.

**- „მონ პარის“ შექმნის ისტორიაც გვიამბეთ?**

- თავიდან დავიწყეთ სახელწოდების გარეშე, შემდეგ ნელ-ნელა განვვითარდით, გავიზარდეთ. თავიდან სალონს „თაფლობის თვე“ ერქვა, შემდეგ ჩემმა ქალიშვილმა მირჩია, რომ უფრო ბრენდული სახელი შეგვერჩია და „მონ პარი“ დავარქვით. ძალიან მაღიზიანებს ეს უცხოური სახელები, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენს ბიზნესში ჭრის. ამ სახელწოდებით ალბათ 12-დან 15 წლამდეა, რაც ვარსებობთ.

**- რა არის თქვენთვის პრიორიტეტული თქვენს საქმიანობაში?**

- მინდა, გამორჩეული ვიყო, ეს არის პრიორიტეტი. შეიძლება ხარისხის ხარჯზე მოდელი გავაკეთო ისეთი, რომ განსხვავებული იყოს და არავითარ შემთხვევაში არ მოვიპარო სხვისი ჩანაფიქრი. შეიძლება შთაგონების წყარო იყოს რაღაც დეტალი, მაგრამ - მხოლოდ ჩემი შექმნილი.

**- დაახლოებით რამდენი მოდელი გაქვთ?**

- მთელი ჩემი მოღვაწეობის განმავლობაში ალბათ 15 ათასამდე მოდელი მექნება შექმნილი, ამ მაღაზიაში კი სადღაც ასიდან ორას კაბამდეა.

**- ერთი კაბის შეკერვას რა დროს ანდომებთ?**

- გააჩნია მოდელს. შეიძლება სამ დღეშიც შევქმნათ, შეიძლება ერთი თვეც მოვანდომოთ. გააჩნია სირთულეს.

**- ქირაობის ფასები როგორ მერყეობს?**

- იწყება 800 ლარიდან და ადის 3 ათასამდე.

**- თქვენი გეგმები...**

- ალბათ, ისევ ამ სფეროში დავრჩები. ბევრს არაფერს შევცვლი, ისევ ისე გავაგრძელებთ, ამ სულისკვეთებით. მინდა ვიყო ამ ბაზარზე ისევ ჩემი ხელწერით. ჩემს შექმნილ სადედოფლო კაბას ეტყობოდეს, რომ ეს არის „მონ პარის“ კაბა.